# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 9 მაისი 2003 №83 (1854) | ფასი 50 თეთრი


**თავისუფალი მასმედიის შენარჩუნება ქართული დემოკრატიის გადარჩენაა!**
**საქართველოს გამომცემელთა და მაუწყებელთა ასოციაცია „თავისუფალი პრესა“**



# ჩვენი კაცი ოთხთა ფინალში

## მანუჩარ მარკოიშვილი ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილის შემდეგ

ბარსელონა დიდ საკლუბო კალათბურთს მასპინძლობს, დღეს საღამოს კატალონიის მთავარქალაქში ევროლიგის ოთხთა ფინალი იწყება. რამდენიმე ჯგუფურმა ეტაპმა ევროპის ოთხი რჩეული გუნდი გამოავლინა და დღეს ეს რჩეულები ფინალის ორი საგზურისთვის ორ ნახევარფინალში დაერევიან ერთმანეთს. ფიცხელი ბრძოლები იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონაში ვერ ჩავიდნენ ბოლო სამი ევროსეზონის ჩემპიონები „პანათინაიკოსი“ და „მაკაბი“. ეს ჩვენ არც უნდა გვაღელვებდეს, ჩანს, არც იმსახურებდნენ ამას, რაკი მათი ადგილი სხვებს დაუჭერიათ. ჩვენ ჩვენი კაცი გვყავს საქომაგო და სხვის ამბავს ორ ყურში გავატარებთ. ეს ჩვენებური კი ჭაბუკი მანუჩარ მარკოიშვილი გახლავთ, ვისი გუნდიც, ტრევიზოს „ბენეტონი“ იტალიურივე „სიენას“ გავლით ეცდება ფინალში მოხვედრას. თუ მარკოიშვილი თუნდაც წუთს ითამაშებს — და ის კი ნაღდია, რომ ითამაშებს — ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილის შემდეგ შეიქნება ევროლიგის ოთხთა ფინალის მონაწილე მესამე ქართველი.

მეორე ნახევარფინალიც დღეს იმართება და მასში ერთმანეთს მასპინძელი „ბარსელონა“ და რუსული ცსკა დაეტაკებიან. შანსებისა რა მოგახსენოთ. პირველ წყვილში ფავორიტი მარკოიშვილის „ბენეტონია“, რომელიც სადღეისოდ ევროკლუბებში იქნებ ყველაზე გამართულ კალათბურთს თამაშობს, მეორეში კი უპირატესობა მასპინძელ „ბარსელონას“ ეძლევა, რამეთუ სადღეისოდ ამ გუნდის კეთილდღეობისთვის ილვწის თითქმის ყველა გუნდური ტიტულის ლამის მარტო მომგები ზეკაცი დეიან ბოდიროგა.

# ბოლნისში ძეგლი აღიმართება, ძეგლი ფეხბურთისა



ბადრი ქეთილაძის ფოტო




**გუშინ ბოლნისში 1981 წლის 13 მაისი იყო**


ინტერვიუ ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელ თემურ მახარაძესთან იხილეთ მეორე გვერდზე




# ღმერთს უღმერთოდ მოექცნენ

## ვაშინგტონ ვიზარდსმა კალათბურთის ლეგენდა დაქირავებული მუშასავით დაითხოვა


იხილეთ მეცამეტე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცინის ის, ვინც ფინალშია

## მახარაძე გვარზე ხტის, რევოლუციონერია



ბაჩუკი კოპილაძის ფოტო

*ბოლნისურ „სიონს" გაჭირვებულ კლუბთა რიცხვს ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ, მაგრამ ყველა სიკეთეც თავზე გადასდითო, რომ ვთქვათ, ტყუილი იქნება. ქვემოქართლელები ძირითადად დედაქალაქში, დიდუბის მოძველებულ მანეჟში ვარჯიშობენ, გასვლით მატჩებზე ერთი და იგივე მიკროავტობუსით მიემგზავრებიან, გუნდს არ ჰყავს ექიმი და მასაჟისტი, თუმც ყველაზე მთავარი აქვს — შედეგი.*

*„სიონმა" გუშინწინ კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი მიღწევა ჩაიწერა. ბოლნისელებმა ორი მატჩის ჯამში სამგზის ჩემპიონი „ტორპედო" წააქციეს და თასის ფინალში გავიდნენ. უმაღლეს ლიგაში ადგილიც პირველი ეტაპის დასრულებისთანავე დაიბევეს და 26 მაისსაც დიდი იმედებით ელიან. წინ თასის ფინალია, სადაც მეტოქედ მრისხანე „დინამოა".*

*„სიონის" გამარჯვების საიდუმლოს ᲗᲔᲛᲣᲠ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲖᲔ უკეთ ვერავინ „გათქვამდა", ბოლნისელთა თავკაცი გუშინ „სარბიელის" სტუმარი იყო, მწვრთნელმა თავისი გუნდის წარმატება თავისებურად აგვიხსნა*

— „სიონის" წინსვლის ერთი კონკრეტული რეცეპტი მართლა არ არსებობს. ეს ერთი გრძელი და უწყვეტი ჯაჭვია. დავიწყოთ იმით, რომ სეზონის დასაწყისში ბოლნისურ კლუბში პატარა რევოლუცია მოეწყო. ხელმძღვანელებმა გუნდის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ბევრი პრობლემა წარსულს ჩაბარდა და ამან სასიკეთოდ იმოქმედა. გუნდი ერთ მუშტად შეიკრა, ჯანსაღმა გარემომ კი რწმენა გაგვიორკეცა. გულშემატკივარმა იგრძნო „სიონის" პოტენციალი და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ფეხბურთელები გაემხნევებინა. და ერთიც, მე მყავს ორი ჩინებული თანაშემწე — ფირუზ რეხვიაშვილი და გიორგი ყიფშიძე. გუნდის უფროსი პეტრე დანელია ყველა დავალებას, ბევრ პრობლემას აგვარებს და ჩვენც წინ მივიწევდით.

**— შედეგის უშუალო შემოქმედებს, „სიონის" ფეხბურთელებს როგორ დაახასიათებთ?**

— ჩემი გუნდის კარს საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იცავს. თემურ ვოლკოვი გაცილებით უკეთეს კარიერას იმსახურებდა, მაგრამ თავის დროზე რაღაც ვერ აეწყო ამ ბიჭის ცხოვრებაში. ნიჭიერი მეკარეა ზურაბ ბათიაშვილიც და მჯერა, მომავალში ის საიმედოდ ითამაშებს.

გადახედეთ „სიონის" დაცვას, ნახევარდაცვას და თავდასხმას. თითოეულზე საათობით შემიძლია გესაუბროთ. გამოცდილი, მებრძოლი და უშიშარი ბიჭები არიან. მათ ზედმიწევნით იციან თავიანთი საქმე, რომელსაც მჯერა, არ უღალატებენ. მაგალითისთვის იური გაბისკირიაც კმარა, მისაბაძი ფეხბურთელია ახალგაზრდებისთვის.

**— ქუთაისში თამაშამდე რა უთხარით ფეხბურთელებს?**

— ის ფაქტი გავახსენე, ნახევარფინალის წილისყრისას რომ მოხდა. მაშინ ჩვენთან დაწყვილება „ტორპედოს" მესვეურებს ძალიან გაუხარდათ. ვთხოვე, თავისუფლად, დაუძაბავად ეთამაშათ აქტიური ფეხბურთი. მთავარი იყო მატჩი დაწყებამდე არ წაგვეგო და ჩვენ ეს მოვახერხეთ. დამატებითი დრო და პენალტების სერიაც რომ ყოფილიყო, ამისთვისაც მზად ვიყავით.

**— როდის მიხვდით, რომ „სიონი" ფინალში გავიდოდა?**

— როცა იონანიძემ პენალტი ვერ გაიტანა. თამაშის დასრულებამდე ოცი წუთი რჩებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, ჩემი გუნდი გოლის გამშვები არ იყო. მეტოქეს იქით ვუქმნიდით პრობლემებს და ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავდა.

არ დამავიწყდება იონანიძის და მისი თანაგუნდელების სახეები, ნამატჩევს სასოწარკვეთილები იყვნენ. ქუთაისელმა ქომაგებმა კი გამაოცეს, ასეთ გაცილებას ნამდვილად არ ველოდით, თუმცა ეს ყველაფერი კარგმა თამაშმა მოგვიტანა, სხვა შემთხვევაში განწირულები ვიყავით.

**— გუშინწინდელი მატჩის დაწყებამდე თბილისში არაერთისგან მოვისმინეთ, თემურ მახარაძეს ქუთაისში უგოლო ფრის მიღწევა არ გაუჭირდებაო. როგორ გგონიათ, რატომ გეძახიან 0:0-ის სპეციალისტს?**

— რა გითხრათ, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი გაწვრთნილი გუნდები სხვებზე გაცილებით ნაკლებ გოლს უშვებდნენ. როცა კარგი მეკარე, გამოცდილი მცველები, შეუპოვარი შუახაზელები და მებრძოლი თავდამსხმელები გყავს, 0:0 ადვილად მისაღწევი შედეგია.

**— დღევანდელ „სიონს" თასის ფინალში „დინამოს" ძლევა თუ ძალუძს?**

— ამის თქმა ახლა ძნელია და ჩვენ ვერავის შევპირდებით, თასს აუცილებლად ბოლნისში ჩამოვიტანთო, მაგრამ „სიონის" ქომაგს „დინამოსთან" ტოლსწორად ბრძოლის და ღირსეული თამაშის გარანტიას მივცემ.

**— თავიდანვე სათასოდ მომართულ „სიონს" თავისუფლად შეეძლო, ჩემპიონატში ფეხი ფეხზე გადაედო და არც ერთი მოწინააღმდეგისთვის არ ეწყენინებინა. თქვენ სძლიეთ „ლოკომოტივს" და „ტორპედოს", „დინამოს" და „ვიტ ჯორჯიას" კი ტოლ-სწორად ეთამაშეთ, თუმცა მაინც დამარცხდით.**

— რომ არა ის მატჩები, დღეს „სიონი" ფინალში არ იქნებოდა. დასკვნითი ეტაპის ყველა თამაში გუნდის შესათამაშებლად, ამაღლებული ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად და მებრძოლი სულის ჩამოსაყალიბებლად გამოვიყენოთ.

გუნდში შარშანდელს აქეთ 23 ფეხბურთელი შეიცვალა, ფაქტობრივად, თავიდან დაკომპლექტდა. მართალია, ჩვენ გავიარეთ ორი ნაყოფიერი შეკრება ლაგოდეხსა და ჩაქვში, სადაც „სიონის" სრული პოტენციალი ჩამოყალიბდა, მაგრამ იმ დაძაბული თამაშების გარეშე დღეს ჩვენ გუნდი არ ვიქნებოდით.

თუნდაც „ვიტ ჯორჯიასთან" ბოლო ტურის მატჩი გავიხსენოთ. მართალია, გარკვეულ პრობლემებს თავი შეგნებულად ავარიდეთ, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლეთ და ვერც ვერავინ დაგვძრახავს, თავი სხვისთვის მოიკალითო. რომ არა ის ორთაბრძოლა, მერწმუნეთ, არც ქუთაისური ტრიუმფი იქნებოდა.

**— სამომავლოდ „სიონს" საპრიზოებისთვის ბრძოლა თუ შეეძლება?**

— ის ყველაფერი, რაც აქამდე გაკეთდა, სამომავლო „სიონისთვის" იყო. დამთავრდება სეზონი და ერთ თვეში ახალი ჩემპიონატისთვის, იმედი მაქვს ევროტურნირისთვისაც მომზადება უნდა დავიწყოთ. თუ მე და ჩემი შეგირდები ბოლნისში დავრჩით, მაშინ მომავალ ჩემპიონატში ჩვენ გაცილებით მაღალი მიზნები გვექნება.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲫᲛᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**




გურამ ლორთქიფანიძის ფოტო

პატარა „სიონი" პატარა ავტობუსით დადის



ბაჩუკი კოპილაძის ფოტო

გუშინწინ ქუთაისურ გასახდელში დაწყებული სიხარული გამთენიისას ბოლნისშიც გაგრძელდა

# გუშინ ბოლნისში 1981 წლის 13 მაისი იყო

**ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜᲓᲔᲚᲛᲐ** ქუთაისურმა სათასო მატჩმა უარყოფითი ემოციები დაუტოვა მასპინძლებს. ნახევარფინალში ჩარჩენით „ტორპედომ" უეფას თასზე გასვლა სათუო გაიხადა, „სიონი" კი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო.

ბოლნისელებმა ისტორიულ წარმატებას მიაღწიეს. ქვემოქართლური კლუბი მეცხრეა, თასის ფინალში თამაში რომ მოუწევს. პერიფერიული გუნდებიდან ასეთივე წარმატებას ბოლოს წყალტუბოს „სამგურალმა" მიაღწია 1999 წელს. მაშინ გაიოზ დარსაძის გუნდმა „ტორპედოსთან" პენალტებით დათმო გადამწყვეტი მატჩი და მხოლოდ ფინალისტობას დასჯერდა. ბოლნისელებს კი გაცილებით დიდი პერსპექტივა' აქვთ. „დინამოს" გაჩემპიონების შემთხვევაში ფინალში მარცხიც კი ვერ შეუშლის ხელს თემურ მახარაძის გუნდს უეფას თასზე თამაშში.

გუშინწინ ქუთაისიდან გზადაგზა ქეიფ-ქეიფით მომავალი „სიონი" გამთენიისას, ოთხ საათზე ჩავიდა ბოლნისში. ბედნიერი მწვრთნელ-ფეხბურთელები უჩვეულო სანახაობის მომსწრე გახდნენ...

„ბოლნისში რომ შევედით, ემოციები ჯერაც არ გაგვნელებოდა, დაღლილები, მაგრამ საოცრად ბედნიერები ვიყავით. თვალებს ვერ ვუჯერებდი, მშობლიურ ქალაქში ისეთი ვითარება დაგვხვდა. მთელი ბოლნისი სტადიონის სიახლოვეს შეყრილიყო. მიუხედავად იმისა, რომ დილის ოთხი საათი იყო, ჩემი პატარა შვილიშვილებიც გარეთ იყვნენ. გახარებული ხალხი სანთლებით და ჩირაღდნებით შეგვეგება. თვალზე ცრემლი მომადგა. ასეთი ბედნიერი მარტო 1981 წლის 13 მაისს ვიყავი" — გვითხრა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა და „სიონის" ერთ-ერთმა მწვრთნელმა ფირუზ რეხვიაშვილმა.

ბოლნისში გამთენიისას დაწყებული ზეიმ-ქეიფი გუშინაც გაგრძელდა, დროშებით ხელდამშვენებული და „სიონის" ძახილით ხმაჩახლეჩილი ხალხი არ მოჰკლებია ამ პროვინციული ქალაქის პატარა ქუჩებს.

დაპირებისამებრ გუნდის მესვეურებმა ჯეროვნად დააფასეს ფეხბურთელთა გარჯა. როგორც შევიტყვეთ, ქუთაისური ტრიუმფის გამომჭედი ხალხი პრემიის სახით 1000-1000 დოლარს მიიღებს.

ბოლნისის გამგებლის, ზურაბ ჯაფარიძის გადაწყვეტილებით კი, სულხან-საბას ქუჩაზე მშენებარე ძეგლი, რომელსაც გეგმა-პროექტით ფეხბურთთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, საფეხბურთო სკულპტურად გადაკეთდება. ამბობენ, თუკი „სიონმა" თასი მოიპოვა, ამ ძეგლის სიმაღლე 20 მეტრამდე გაიზრდებაო.

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲫᲛᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

### შვეიცარია

**A ჯგუფი. X ტური**

გრასჰოპერი 5:1 თუნი
იანგ ბოისი 3:4 ვილი
ბაზელი 3:1 ციურიხი
ძსამაძსი 1:3 სერვეტი

**A/B ჯგუფი. X ტური**

აარაუ 2:0 დელემონი
ლუცერნი 4:0 ვადუცი
სენტ გალენი 6:1 კრინსი

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი**

ფიურტი 2:0 კიოლნი

### დანია

**თასის 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები**

ოლბორგი 1:3 *ბრონდბიუ* (0:1)
*მიდტიულანდი* 3:2 ვიბორგი (0:0)

### უკრაინა

**უმაღლესი ლიგა. XXIV ტური**

კრივბასი 0:1 შახტარი
ვოლინი 1:0 დინამო

საფეხბურთო კლუბი ფოთის „კოლხეთი" თანაუგრძნობს
კლუბის ყოფილ ფეხბურთელს გოჩა ტრაპაიძეს
მამის
გარდაცვალების გამო
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

# რუსული სენი
# მაისი — ქაოსი
## გაზაფხულმა თბილისში ცა და დედამიწა ნახა

*შარშან მაისში რუსულმა მედიამ ოლეგ რომანცევი ნაკრების უსახური თამაშის გამო შავ დღეში ჩააგდო. მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდებოდა და მისი შეცვლა რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ვერ გარისკა. მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა და ნაკრების თავკაცი შეცვალეს. ზაფხულში ნელინადი შესრულდება მთავარი მწვრთნელის პოსტზე გაზაევის დანიშვნიდან. ისევ გაზაფხული, ისევ მაისი და ისევ ქაოსი რუსეთში. მიჯრით წაგებული ორი მატჩის შემდეგ რუსი მიმომხილველების აზრით, ახალი მწვრთნელი ძველს, ოლეგ რომანცევს დაემსგავსა – თბილისში პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობით კი რომანცევი ჯერჯერობით ჩემპიონია. გასულ ტურში „ლოკომოტივის" ძლევის შემდეგ ვალერი გაზაევს ხასიათი ოდნავ გამოუკეთდა და „სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტს ინტერვიუზე დათანხმდა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

**— საქართველოს ნაკრებთან მარცხის მიზეზებს მიაგენით?**

— თბილისში გუნდმა უცუდესი მატჩი ითამაშა. მიზეზი ბევრი იყო. ტაქტიკური თვალსაზრისით რაც დავგეგმეთ, ბოლომდე ვერ შევასრულეთ. ის განწყობა, ნაკრებს ირლანდიასთან და ალბანეთთან მოგებულ შეხვედრებში რომ ჰქონდა, დაიკარგა. ალბანეთში მარცხის შემდეგაც კი ბიჭებზე აუგი არ დამცდენია. მსაჯთა შეცდომებმა დაგვღუპა, თუმცა საბოლოოდ შედეგზე პასუხისმგებელი მე ვარ.

თავის მხრივ, ზოგიერთი ფეხბურთელი თბილისში სათანადოდ არ გაისარჯა. დაცვაში ევსიკოვი კარგად მოქმედებდა, რასაც ნიჟეგოროდოვზე ვერ ვიტყვი. შეტევაში იზმაილოვმა და ტიტოვმა მოიკოჭლეს, ფლანგებიც სუსტად გამოიყურებოდა, რამდენიმე ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით.

**— შედარებით ნაკლები პრეტენზია ვისთან გაქვთ?**

— სემაკმა, ონოპკომ, ალდონინმა და სმერტინმა დაკისრებულ ფუნქციებს თავი კარგად გაართვეს. მანდრიკინმაც უშეცდომოდ ითამაშა. შევნიშნავ, რომ საგოლე მომენტების სიმწირის მიუხედავად, სემაკს თითქმის ასპროცენტიანი შანსი შეხვედრის დასაწყისშივე მიეცა.

ნაკრებს უგულოდ თამაშის უფლება არ აქვს. სამწვრთნელო კარიერაში პირველად ვნახე მსგავსი უსუსრობა ჩემი გუნდისა. რევოლუცია არა, მაგრამ შემადგენლობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება.

**— ნაკრების საბრძოლო განწყობა რომ მინელდა, მატჩამდე იგრძენით?**

— არა, რადგან მონდომებით ვემზადებოდით. თუმც მეტოქესაც ნუ დავუკარგავთ გარჯას. ქართველებმა თავს ზემოთ ძალა მონახეს, საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და კიდეც ვულოცავ ამ გამარჯვებას. მგონი, ახალი მწვრთნელის დანიშვნამ მათზე სასწაულებრივად იმოქმედა. მაგალითად, ასათიანი „ლოკომოტივში" და ასათიანი ნაკრებში — ცა და დედამიწაა.

ჩვენ კომბინაციური თამაშიც ვერ შევძელით და დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადასვლაც არ გამოგვივიდა. მცველები ბურთს საკუთარ ნახევარზე განივად აგორებდნენ, ცენტრში კი თითქმის ყველა ორთაბრძოლა წავაგეთ.

**— რას უპასუხებთ მათ, ვინც ერთი ფორვარდით თამაში დაგიწუნათ?**

— ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ არ შევმცდარვარ. თუ გნებავთ, ხუთ ნომინალურ თავდამსხმელს გავამწესებ, მაგრამ ხეირი? თანამედროვე ფეხბურთში ცალკე მცველი და ფორვარდი კი არა, მცველთა და ფორვარდთა გარკვეული ჯგუფების შეთანხმებული თამაშია მთავარი. ჩემი გათვლით, ტიტოვი და იზმაილოვი სემაკს უნდა მიხმარებოდნენ, მაგრამ სემაკი „ზურგის ქარს" ამაოდ ელოდა.

**— ალენიჩევის მარჯვენა ფლანგზე გამოჩენამ ბევრი გააკვირვა...**

— არჩევანის საშუალება არ მქონდა. უკეთესი კანდიდატი ამ პოზიციაზე ნაკრებში არ მყავს. მისი გამოცდილებისა მჯეროდა, ვენდე, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ფეხბურთელს თამაში არ წაუვა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი მეურვე ძალიან აქტიურობდა, შეტევაში ხშირად ერთვებოდა და ამიტომაც ალენიჩევმა თავისი რეალიზება ვერ შეძლო.

თავდამსხმელმა მცველი ფინტით თუ ჩამოიტოვა, ეს მხოლოდ მცველის შეცდომის გამო არ ხდება, ფორვარდიც მაღალი კლასის შემსრულებელია. ანუ, ალენიჩევის „ჩავარდნა" მხოლოდ მისი ბრალი არაა.

**— იგნაშევიჩის ტრავმამ გუნდის გადაწყობა მოითხოვა...**

— უეჭველად. ჯერ ერთი, ის შესანიშნავ ფორმაში იყო და სასარგებლო მოთამაშეა. მეორე — შეტევის გაძლიერებას შესვენების შემდეგ სიჩოვით და კერჟაკოვით ვაპირებდი.

სემაკი მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლებდა, ალენიჩევი კი ცენტრში, ტიტოვთან და სმერტინთან ერთად ეფექტურ ტრიოს შექმნიდა.

გოლი მაშინ გავუშვით, როცა იგნაშევიჩს მინდვრის კიდესთან ექიმები დასტრიალებდნენ. ასათიანმა სწორედ მარჯვენა მცველის ზონიდან გაიტანა, რომლის გაკონტროლებაც დროებით მხოლოდ ალენიჩევს დაევალა. გეგმები ამერია და იძულებული გავხდი, სიჩოვი გაცილებით გვიან შემეშვა მოედანზე, რათა ერთი შეცვლის უფლება საჭიროების შემთხვევაში კიდევ მქონოდა.

**— სამომავლოდ ოპტიმიზმის საფუძველი გაქვთ?**

— მართალია, ნაკრებმა თბილისში ცუდად ითამაშა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, თაობათა ცვლის პროცესში ვართ, რაც იოლად გადასატანი არაა. ყველაფერს დრო და მოთმინება სჭირდება. მარცხით გამოწვეული ემოციები ჩაცხრა. ნაკრების ფეხბურთელებმა უნდა შეიგნონ — ნებისმიერ მატჩში გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია თავდადება და ბოლომდე დახარჯვა.

**— სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— ბოლო ორ ტურში გავანიავეთ ის, რაც პირველ ორ შეხვედრაში მოვაქუჩეთ. გამოდის, რომ პირველი ადგილისთვის ბრძოლას ნულიდან ვიწყებთ. მთავარ კონკურენტებად კი ისევ შვეიცარიას და ირლანდიას მივიჩნევ. დასანანია, რომ გაზაფხულზე ქულაც ვერ შევმატეთ მონაგარს, მაგრამ მიზანი კვლავაც პორტუგალიის საგზურია.

*თურქულ „ქოჯაელისფორში" მომხდარ ამბებზე გუშინდელი „სარბიელიდანაც" შეიტყობდით. ახლა კი გაირკვა, რომ კლუბი უკვე ერთმა ქართველმა დატოვა — ზაზა ჯანაშიამ გაჭირვებულ ყოფას დიდხანს ვერ გაუძლო და გუდა-ნაბადი აიკრა.*

*როგორც თურქული სააგენტოები იუწყებიან, ზაზა ჯანაშიამ მოსკოვს მიაშურა. გურჯი თავდამსხმელის გამოსამშვიდობებელი სიტყვები ასეთი ყოფილა: „მორჩა, ჩემი იმედი აღარ გქონდეთ. მოსკოვში მივდივარ..."*

*თურქების აზრით, ზაზა ჯანაშიას კვლავ მოსკოვურ „ლოკომოტივში" დაბრუნება ამოუჭრია გულში, რა გამოვა ამ საქმიდან, უახლოეს მომავალში შევიტყობთ*

# დავიღალე, მოსკოვში მინდა!
# გია იმედაძე: მეც წავედი
## ქართველები თურქეთიდან ერთმანეთს ასწრებენ

გუშინვე გაცნობეთ, რომ იზმითში შვებულებიდან დაგვიანებით ჩასულ რევაზ ქემოკლიძესა და გია იმედაძეს კლუბის ხელმძღვანელები დაჯარიმებით ემუქრებოდნენ. ამის დასაზუსტებლად თურქეთში *გია იმედაძეს* შევეხმიანეთ, რომელმაც გაკვირვებულმა გვიპასუხა:

— ნამდვილად ვერ გეტყვით,საიდან გაჩნდა ეს ინფორმაცია. არანაირ დაჯარიმებაზე საუბარიც არ ყოფილა.

„ქოჯაელისფორის" ქართველ ფორვარდს სამომავლო გეგმებზე დავეკითხეთ:

— სეზონი დასრულდება და აქაურობას გავეცლები. კონტრაქტი მაისს ბოლოს მიმთავრდება, მერე კი ჩემს გზას ვიპოვი.

**— ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში" შენი დაბრუნება გამორიცხულია?**

— „სპარტაკ-ალანიაში" რა მინდა?

**— კონტრაქტით ხომ ამ კლუბს ეკუთვნი?**

— არა. არავის არ ვეკუთვნი. „ქოჯაელისფორიდან" თვის ბოლოს წამოვალ და მერე თავისუფალი ვიქნები.

ერთი სიტყვით, ზაზა ჯანაშიას კვალს მალე კიდევ ერთი ქართველი გაჰყვება. რამდენიმე დღეც და გია იმედაძისა და „ქოჯაელისფორის" გზები ისევე გაიყრება, როგორც ამ კლუბისა და თურქული სუპერლიგის.

ჯერჯერობით გაურკვეველია გივი დიდავასა და რევაზ ქემოკლიძის ბედი. მათ რამდენიმე თურქული კლუბის ვარიანტიც გასჩენიათ და, ალბათ, მალევე გაარკვევენ საკუთარ მომავალს, ყველაზე მეტად კი „ტრაბზონსფორი" აქტიურობს.

ამის თაობაზე გუშინ იზმითში *გივი დიდავასაც* დავუკავშირდით:

— „ტრაბზონსფორის" დაინტერესებაზე მეც გაზეთებიდან შევიტყვე. კონკრეტულს ვერაფერს გეტყვი. პირადად არავინ დამკავშირებია.

**— „ქოჯაელისფორს" ცალი ფეხი ქვედა ლიგაში აქვს. ალბათ, ასეთ გუნდში დარჩენას არ აპირებ...**

— საქმე ისაა, რომ ამ კლუბთან კონტარქტი მაკავშირებს. ამიტომ, თუ სხვა გუნდში გადასვლა ვერ მოვახერხე, პირობების შესრულება მომიწევს.

**— მეორე ლიგაში თამაში, ალბათ, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება შენთვის.**

— რა თქმა უნდა, სულაც არ მხიბლავს თურქეთის მეორე ლიგაში თამაში. თუმც ვნახოთ, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

**— ახლა რა მდგომარეობაა გუნდში?**

— ბოლო ადგილზე ვართ და თითქმის ყველა შეგუებულია, რომ გავვარდებით, ფინანსურადაც არაა დალხენილი სიტუაცია. ზაზა ჯანაშიას მაგალითი აიღეთ. ის მალე დატოვებს გუნდს. უფრო სწორად, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ზაზა უკვე ქოჯაელელი არ არის. თუმც მას აქ უთამაშებლობის პრობლემაც ჰქონდა.

**— ეს იგი, „ქოჯაელისფორს" ლეგიონერების გაშვებამ შესაძლოა ოდნავ სულიც მოათქმევინოს.**

— ალბათ, ასეც იქნება. ამჟამად ჩვეულად, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და სეზონსაც, ცხადია, აქ ჩავამთავრებ. მერე რა მოხდება, არ ვიცი.

**კახა შალამბერიძე**



# ჯიქიას კონტრაქტი მუხლზე ჰკიდია

**სამი კვირის** წინ პოლონური „ამიცას" ქართველ ნახევარმცველს, მამია ჯიქიას ავსტრიაში ცნობილმა ქირურგმა შენკმა მუხლის ოპერაცია გაუკეთა და ახლა ჩვენებური სარეაბილიტაციო პერიოდს გადის.

საქართველო — მოლდოვას ამხანაგურ მატჩში დაშავებულ ჯიქიას უკვე სამი თვეა, ბურთისთვის ფეხი არ დაუკარებია და უქმობა, სულ მცირე, კიდევ ორი თვე მოუწევს.

— ახლა თავს ნორმალურად ვგრძნობ. ერთ თვეში ფეხიდან ლითონის ფირფიტას ამომიღებენ და, ალბათ, ივლისში განვაახლებ ვარჯიშს. მანამდე ეს თითქმის გამორიცხულია. სეზონი მაინც მთავრდება და გარისკვას სჯობს, ტრავმა ბოლომდე მოვირჩინო. კლუბი ყველანაირად გვერდში მიდგას, მკურნალობის ხარჯებიც მთლიანად გადამიხადეს — გვითხრა გუშინ მამია ჯიქიამ.

შეგახსენებთ, რომ „ამიცა" პოლონეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის შუაში ნებივრობს და ამ სეზონში სერიოზული მიზნები არა აქვს. ერთხანს გუნდს პირველი ლიგიდან გავარდნაც ემუქრებოდა, თუმც ახლა მდგომარეობა გამოისწორა. სეზონის ჩამთავრება კი „ამიცას" ჩვენებურის გარეშე მოუწევს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჯიქიას კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში ეწურება, მაგრამ ქართველი ნახევარმცველი კლუბთან მოლაპარაკებების წამოწყებას არ ჩქარობს:

— ჯერ ეს ტრავმა მოვირჩინო და მერე ყველაფერს ეშველება. სანამ არ გამოვჯანმრთელდები, არანაირ კონტრაქტზე საუბარი არ მსურს.

**კახა შალამბერიძე**



ზაზა ჯანაშია



გია იმედაძე



გივი დიდავა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ნახევარფინალი. პირველი მატჩი



ექტორ კუპერმა მატჩისას, ცხადია, ბევრი სიგარეტი მოსწია

## მილანი 0:0 ინტერი

მილანი. „სან სირო“. 80 000 მაყურებელი. მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

დიდა, კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, კალაძე, ბროკი (სერჟინიო 73), გატუზო (რედონდო 78), ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო (რივალდო 81), ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ტოლდო, კორდობა, მატერაცი, კანავარო, კოკო (პასკუალე 84), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, ს. კონსეისაუ (გულიელმინპიეტრო 66), ემრე, კრესპო, რეკობა (კალონი 72)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

საპასუხო მატჩი გაიმართება 13 მაისს

# ისევ აქ და ისევ 0:0?


კახა კალაძე (მარცხნივ) მოედანზე საუკეთესოთაგანი იყო

კარლო ანჩელოტიც და ექტორ რაულ კუპერიც ნამატჩევს ფინალში გასვლის ჩინებულ შანსზე ალაპარაკდნენ. ცხადია, ანჩელოტი „მილანის“ შანსზე, კუპერი კი — „ინტერისაზე“. კაცმა რომ თქვას, იმედიანი განწყობისთვის ორივე მწვრთნელს საფუძვლიანი არგუმენტები აქვს: პირველ მატჩში „მილანმა“ შინ გოლი არ გაუშვა, ანუ საპასუხო მატჩში გოლებიანი ფრეც ხელს აძლევს, „ინტერმა“ კი სტუმრად კარი მშრალად შეინახა. მოგეხსენებათ, „მილანს“ და „ინტერს“ საზიარო სტადიონი აქვთ და სტუმარ-მასპინძლობა პირობით, ოქმისთვის განკუთვნილ ხასიათს ატარებს.

ერთი სტატისტიკური ცნობაც: ზედიზედ მესამე მილანურ დერბიში „ინტერი“ გოლის გატანას ვერ ახერხებს.

„არ ვფიქრობ, რომ საპასუხო მატჩის წინ შეშფოთების საბაბი გვქონდეს — თქვა ექტორ კუპერმა — ვიცი, რომ ერთი კვირის მერე აუცილებლად მოგება გვჭირდება, რისთვისაც მზად ვართ. ვიცი, რომ ღლევანდელის მსგავსი თამაში იქნება, განწყობა კი ბრწყინვალე გვაქვს“.

მოგახსენებთ, რომ ექტორ კუპერი ჩემპიონთა ლიგის ორმატჩიან დუელებში აქამდე არასდროს დამარცხებულა. თუ მარცხდებოდა, მხოლოდ ფინალებში.

კუპერმა განაგრძო: „საპასუხო შეხვედრა უაღრესად დაძაბული რომ იქნება, ალბათ, ყველა დამეთანხმება, სანახაობრიობას კი ვერ დაგპირდებით. მთავარი გამარჯვებაა და თუ მოვიგეთ, სანახაობა მერე მოვაწყოთ. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, უმთავრესია, ფეხბურთელებმა ყურადღება არ მოადუნონ და დავალებები ზუსტად შეასრულონ. ვფიქრობ, ფანები ამას რომ დაინახავენ, კმაყოფილები დარჩებიან და აღარც ეფექტურ ტრიუკებს მოგვთხოვენ“.

კარლო ანჩელოტი მატჩის შემდეგ ცოტათი გაცეცხლებული ჩანდა, რაც სავსებით გასაგებია, მისმა გუნდმა უპირატესობა გოლად ვერ აქცია, რადგან ადრინდელზე უკეთ ორგანიზებულ ინტერულ დაცვას შეასკდა.

„თავიდანვე გამოჩნდა, რომ მეტოქის კარს იოლად ვერ მივუახლოვდებოდით — თქვა ანჩელოტიმ — თანდათანობით უკეთესად კი ავთამაშდით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ, არადა, ვიმსახურებდით. მილიანობაში შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, საპასუხო მატჩს მცირედი უპირატესობითაც ვხვდებით. თუმცა ვიმეორებ, ჩვენი უპირატესობა ძალიან მცირეა“.

ანჩელოტის აზრს კუპერიც დაეთანხმა: „თავიდან ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით და ორი ძალიან კარგი მომენტიც გვქონდა მაგრამ შესვენების შემდეგ უკვე „მილანი“ გვჯობდა“.

თუ ამ სეზონის პირველი ორი მილანური დერბის პერიპეტიები გახსოვთ, შენიშნავდით, რომ ოთხშაბათს „ინტერის“ თამაში გვარიანად განსხვავდებოდა იმ ორი მატჩისგან, რომლებიც „მილანმა“ ერთნაირი ანგარიშით, 1:0 მოიგო. უპირველესად ის გამოიკვეთა, რომ „ინტერის“ დაცვა გუშინწინ გაცილებით საიმედო იყო. ამის მიზეზს თავად კუპერი ასე ხსნის: „თუ გახსოვთ, წინა დერბებისას ანდრე შევჩენკოსა და ფილიპო ინძაგის ძალიან დიდ სივრცეებს ვუთმობდით და ამიტომაც ვმარცხდებოდით. ახლა, მათთვის თავისუფლების შესაზღუდად სამი ცენტრალური მცველი გავიყვანე, რამაც გაამართლა“.

და რითი უნდა დაუპირისპირდეს საპასუხო შეხვედრაში ანჩელოტი მეტოქის ამგვარ დაცვის ხაზს?

კარლო ანჩელოტი: „რამეს შეცვლას არ ვაპირებ. ჩვენი მიზანია, ისევე ვითამაშოთ, როგორც დღეს. ერთი ეგაა, შეტევის დამასრულებელ ფაზაში მეტი ყურადღება და სიზუსტე გვმართებს“.

მწვრთნელების მატჩისშემდგომი კომენტარებით თამაშის ხასიათზე ალბათ შეგექმნათ წარმოდგენა, თუმცა რა ხდებოდა მოედანზე 90 წუთის განმავლობაში, ქვემოთ უფრო დეტალურად გავარჩიოთ.

„ინტერის“ საჯარიმოში ჩოჩქოლი პირველად მეორე წუთზე ატყდა: კლარენს ზეედორფმა ბურთი კუთხურიდან ჩაჰკიდა, კახა კალაძე კი ვერ შესწვდა. წუთის მერე ანდრეი შევჩენკომ, რომელმაც იმიჯი შეიცვალა და ბლანჟე მოუშვა, კარის გასწვრივ სახიფათოდ ჩააწოდა, მაგრამ ამჯერად მცველებმა ივარგეს და ვითარება განმუხტეს. კიდევ ორი წუთიც და უკვე სერჟიუ კონსეისაუმ გაისროლა „მილანის“ კარისკენ — ამაოდ. ამ ნახევარმომენტებს კი პირველი ნაღდი საგოლე მომენტი მოჰყვა: ალვარო რეკობა დიდას საჯარიმოში შეიჭრა და ცაციათი მოხდენილად დაარტყა. ამ ეპიზოდში მეკარემ ივარგა.

საზოგადოდ კი პირველ ტაიმში „ინტერის“ შეტევები ერთფეროვანი, ხოლო მიმართულება იოლად გამოსაცნობი იყო: ნახევარმცველები ერთი გრძელი პასით ცდილობდნენ ერნან კრესპოს დასარტყამ პოზიციაზე გაყვანას. ერთი ამგვარი მცდელობა ეგებ გოლითაც დასრულებულიყო: კრესპომ ბურთი მიიღო, საჯარიმოს კუთხიდან რეკობას ჩააწოდა, მაგრამ ურუგვაელს პოზიცია მთლად კარგად არ ჰქონდა შერჩეული და დარტყმულ კარგი ვერ გამოუვიდა.

შესვენებამდე მეტი მომენტი აღარ შექმნილა, თუმცა კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კახა კალაძე რამდენჯერმე ჭკვიანურად შეეცადა თამაშის გამწვავებას. და საერთოდაც, ის მოედანზე საუკეთესო თუ არა, საუკეთესოთაგანი ნაღდად იყო.

კი ვთქვით, პირველ ტაიმში მეტი მომენტი აღარ შექმნილაო, სამაგიეროდ, „მილანის“ ფორვარდებმა თამაშგარეშ დარჩენაში გამოიდეს თავი: შევჩენკო და ინძაგი 45 წუთში შვიდჯერ აღმოჩნდნენ ოფსაიდში, რაც უპირველესად „ინტერის“ დაცვის სწორი პოზიციური თამაშის შედეგი გახლდათ, ვიდრე მასპინძელ ფორვარდთა უყურადღებობისა.

შესვენების მერე, შვიდ წუთში, „ინტერი“ აშკარად გადარჩა — სახიფათო მომენტის შექმნა კი მთლიანად კალაძის დამსახურება გახლდათ. ის მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, ორი მცველი მოატყუა და ბურთი კარის სიახლოვეს მყოფ შევჩენკოს მიაწოდა. უკრაინელი ბურთს შეეხო და თითქოს გოლიც უნდა გასულიყო, მაგრამ ბოლო წამს ფაბიო კანავარომ ფეხის დახვედრება მოასწრო.

შემდეგ ინძაგიმ სცადა ორჯერ შორი დარტყმებით ფონს გასვლა, ჯერ ჯენარო გატუზოს, მერე კი რუი კოშტასგან მიღებული პასებით. 62-ე წუთზე შევჩენკომ გააფუჭა მომენტი: რუი კოშტამ კარგ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ უკრაინელმა იერიშის თავად დასრულების მაგიერ, ბურთის განივად, ინძაგისთვის ჩაწოდება გადაწყვიტა და ესეც არ გამოუვიდა — პასი ივან კორდობამ ჩაჭრა.

ცოტაც და, გატუზომ გამწარებით დაუშინა გაზონს მუშტები, თითქოს ბალახის ბრალი ყოფილიყოს ძელს ოდნავ რომ ააცილა.

ბოლო ოთხმა წუთმა, რომელთაგან სამი მსაჯის წამატებული იყო, ორმხრივ იერიშებში ჩაიარა. ბოლო მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი კი კრესპომ შექმნა, რომელმაც ხარიხას ოდნავ გადააცილა.

**გიორგი დარჯანია**



ფილიპო ინძაგის ინტერელებმა სივრცე შეუზღუდეს და ველარ ივარგა



სტუმრებს კრისტიან ვიეირი რომ ჰყოლოდათ, ეგებ გოლსაც გამოჩენოდნენ




ხალხი ითხოვს ბაჯოს



# ნუთუ ამდენ ხალხს მოეყურა?

ბოლოს როდის ითამაშა იტალიის ნაკრების შემადგენლობაში რობერტო ბაჯომ, გახსოვთ? ალბათ, არა. ეს 1999 წელს იყო, წინა საუკუნეში, თუმცა, რომ ვთქვათ, ბაჯოსთვის „ადამიანურად" ფეხბურთის თამაშის საშუალება, კიდევ უფრო დიდი ხანია არ მიუციათ, ვერავინ გაგვამტყუნებს. დღეს, დიდი იტალიელი უკვე 36 წლის არის, მაგრამ მაინც ძველებურად ისმენს, როგორ ითხოვენ ჟურნალისტები და ქომაგები მის „სკუადრა აძურაში" დაბრუნებას.

ახლახან, 30 აპრილს, იტალიის ნაკრებმა შვეიცარიას ამხანაგურ შეხვედრაში 2:1 მოუგო და იტალიელთა მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის ისევ ჰკითხეს, რატომ არ მიიწვიეთ ბაჯოო. „ბაჯოს სხვა მატჩებში მივცემ თამაშის საშუალებას. ამხანაგურები ჯერ წინ არის, უბრალოდ, იმ მომენტის შერჩევაა საჭირო, როდესაც მას და ნაკრებს ერთმანეთთან თანამშრომლობა მოუნდებათ" — მიუგო დონ ტრაპმა.

ამხანაგურები ჯერ წინ არისო_ მწვრთნელის ამ ნათქვამმა მთელი დედამიწა მოიარა. მაშ, რობერტო ბაჯოსთვის ნაკრების კარი ისევ ღიაა? ხარობდა უამრავი ადამიანი. ხოლო დონ ტრაპს ხელად შეახსენეს, რომ უახლოესი ამხანაგური „სკუადრა აძურას" 2 ივნისს ელის, ჩრდილოეთ ირლანდიასთან, ფინეთთან ოფიციალურ თამაშამდე ერთი კვირით ადრე.

ცნობისთვის: რობერტო ბაჯოს ნაკრების შემადგენლობაში 55 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 27 გოლი გატანილი.

**ბაკუნა ძიდია**

# გნებავთ, ხელფასს შევიმცირებთ

## რომაული როქი: მონტელა ლაციოს, კორადი რომას

თავიანთი ამბავი ჯერ ჰოლანდიელ მცველს, იაპ სტამს და არგენტინელ თავდამსხმელ კლაუდიო ლოპესს არ გაურკვევიათ, სხვა მხრივ კი, თუ იტალიურ სააგენტო AGI-ს ვენდობით, რომის „ლაციოში" ყველაფერი რიგზეა: კლუბმა ახალი კონტრაქტები მოამზადა, რომელთაც თვრამეტმა ფეხბურთელმა უკვე მოაწერა ხელი. მართალია ამ თვრამეტი კაცის გვარ-სახელს ჯერ არ გვეუბნებიან, მაგრამ იმავდროულად გვატყობინებენ, რომ არის კიდევ ორი მოთამაშე, რომელთაც საკუთრივ ხელშეკრულება არ მოსწონებიათ. ისინი გახლავან პორტუგალიელი მცველი ფერნანდო კოუტუ და თავდამსხმელი ბერნარდო კორადი.

ახლა იმაზე, თუ რა არ ეპიტნავათ კოუტუსა და კორადის: ის, რომ ახალი კონტრაქტის თანახმად ფეხბურთელებს ამ სეზონის ხელფასები ფულით კი არა, „ლაციოს" აქციებით გადაეხდებათ. გარდა ამისა, ხელშეკრულებაში წერია, რომ მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში კლუბი ჯამაგირს დაიგვიანებს.

ამ უცნაურ საკითხთან დაკავშირებით „ლაციოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ დიდი კმაყოფილება გამოთქვა და იმ მოთამაშეებს, რომელთაც კონტრაქტებს ხელი მოაწერეს, საჯარო მადლობა მოახსენა. ასე და ამგვარად, „ლაციო" გასაჭირიდან თავის დაღწევას ცდილობს და ვარიანტებს ეძებს. მოგეხსენებათ, 2002 წელს უსახსრობის გამო რომაელებმა ისეთი ცნობილი ფეხბურთელები გაჰყიდეს, ალესანდრო ნესტა და ერნან კრესპო რომ არიან, ახლა კი, როგორც თავში მოგახსენეთ, ოთხი მოთამაშის ბედია გაურკვეველი.

ერთ მათგანზე, ბერნარდო კორადიზე ჭორი აგორდა, თითქოს „ლაციომ" ის, შესაძლოა, გაცვალოს, მაგრამ არ იკითხავთ, რომელ კლუბს და რომელ ფეხბურთელში უცვლის? ლაპარაკია გარიგებაზე „რომასთან", რომლის თანახმად, კორადის ვინჩენცო მონტელაში გაცვლიან. ვინც რომის ორი გუნდის ურთიერთობის ამბავი იცის, ამ წინადადების წაკითხვისას ბუნებრივია გაოცდებოდა, მაგრამ, აბა, ზემოხსენებულ ბარალდისაც მოვუსმინოთ:

„თუ მონტელა ხელფასის შემცირებას დათანხმდება, ხოლო ჩვენ და „რომა" პირობებზე შევთანხმდებით, საბოლოო სიტყვა „ლაციოს" მწვრთნელს, რობერტო მანჩინისღა დარჩება სათქმელი. კორადი კი ჩინებული თავდამსხმელია, მაგრამ კლუბის ახალ საკონტრაქტო სისტემას არ თანხმდება და ამიტომ წასვლა მოუწევს. ვერ ვხვდები რატომ ვერ უნდა გავურიგდეთ „რომას", თუკი გარიგება ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება".

„ლაციოს" ბანაკიდან გამოსულმა ასეთმა ხმამ ჟურნალისტებს, ბუნებრივია, „რომას" ოფისში სტუმრობის და ყველაფრის შემოწმების სურვილი გაუჩინა, სადაც შეიტყეს, რომ კლუბის პრეზიდენტს, ფრანკო სენსის მონტელა ძალიან მოსწონს და მის გასხვისებას არ აპირებს, ხოლო თავდამსხმელმა მარკო დელვეკიომ განაცხადა:

„წარსულში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფეხბურთელი რომის ერთი კლუბიდან მეორეში გადასულა, მაგრამ ამას რეგულარული სახე არასდროს ჰქონია. გნებავთ, ჩემით ვიმსჯელოთ. „ლაციოში" გადასვლას არასდროს დავყაბულდები, რადგან „რომაში" ჩინებული კარიერა მაქვს და მისი მაისურით ბევრ წარმატებას მივაღწიე. ეს ნაბიჯი უბრალოდ მცდარი და გაუგებარი იქნებოდა".

**ბაკუნა ძიდია**



„რომა" და „ლაციო" ვინჩენცო მონტელას და ბერნარდო კორადის გაცვლას აპირებენ



# კლარენს კალმოსანი

## ტოშაკი თაღლითია, ვან გაალი ცინიკოსი

ცნობილი ფეხბურთელების უმრავლესობა ადრე თუ გვიან ავტობიოგრაფიული წიგნის წერას იწყებს. მოთამაშე-მწერლებს ახლახან ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი შეუერთდა.

როცა მადრიდის „რეალს„ უელსელი ჯონ ტოშაკი წვრთნიდა და ზეედორფი „სამეფო კლუბის" ღირსებას იცავდა, ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის ურთიერთობა ყოველთვის დაძაბული იყო. ჰოლანდიელმა თავის წიგნში ჯონ ტოშაკი თაღლითობაში ამხილა: „მან ფეხბურთელების ტრანსფერებიდან ბლომად ფული იშოვა. ჯერემი ნჯიტაპისა და ელვირ ბალიჩის სატრანსფერო თანხების ნაწილი ჩაიჯიბა. ეს დანამდვილებით ვიცი, რადგან მითხრა კაცმა, რომელიც ჩემი კარგი მეგობარი და ცნობილი ფეხბურთელია, თუმცა მის სახელს ვერ გავამხელ".

კლარენს ზეედორფი ლუის ვან გაალსაც გადასწვდა: „ვან გაალი ადამიანების დამცირების დიდოსტატია. მან ზედმიწევნით იცის, როგორ ატკინოს გული ნებისმიერ ფეხბურთელს. მისი მეთოდი ფსიქოლოგიური ტერორია. როცა ამსტერდამში ერთმანეთი გავიცანით, მეგონა, რომ სიტყვის კაცია, მაგრამ საპირისპიროში მალევე დავრწმუნდი. ლუის ვან გაალი მიზნის მისაღწევად ბინძურ ხერხებს იყენებს".

ჰოლანდიელის ავტობიოგრაფიაში გუს ჰიდინკსაც წააწყდებით, რომელსაც ზეედორფი ხასიათის სიმტკიცეს უწუნებს. მას მადრიდში ყველა თავის ჭკუაზე ატარებდაო.




კლარენს ზეედორფი

**ვაჟა ხუციშვილი**

# სკამს ნურავინ შემომთავაზებს

ჯუზეპე სინიორი 35 წლისაა და თავის მომავალს სეზონის დასრულებამდე არ გადაწყვეტს. საქმე ის გახლავთ, რომ მას „ბოლონიასთან" კონტრაქტის ვადა ეწურება ანუ შეუძლია „დალ არას" სტადიონიდან დაუბრკოლებლად წავიდეს საითაც მოესურვება.

„პირადად ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია, აგენტს კი რამდენიმე კლუბი დაუკავშირდა — თქვა სინიორიმ — თუმცა, გულწრფელად რომ გითხრათ, ამწუთას მომავალ სეზონზე არ ვდარდობ, დღეს სეზონის დარჩენილი მატჩები მაფიქრებს".

სინიორი ასაკის მიუხედავად იმდენად ძლიერი ფეხბურთელია, რომ მის სახელს „ლაციოსა" და „იუვენტუსსაც" კი უკავშირებდნენ, თან სულ ერთიორი კვირის წინ.

„ფეხბურთი, გარდა იმისა, რომ ჩემი პროფესიაა, ჩემი გატაცებაც გახლავთ და ამიტომ მხოლოდ იმ კლუბების წინადადებებს განვიხილავ, რომლებიც მუდმივად ძირითად შემადგენლობაში შემომთავაზებენ თამაშს. ვერასდროს შევეგუები სათადარიგოთა სკამს და ვეჭვობ, რაიმე სარგებელი მოვუტანო კლუბს, რომელიც რეზერვში დატოვებას მპირებს". — განაცხადა თავდამსხმელმა.

ამბობენ, სინიორი „ბოლონიიდან" იმიტომ წავა, რომ სეზონის დასაწყისში მწვრთნელთან, ფრანჩესკო გვიდოლინისთან უსიამოვნება მოუვიდაო. ფეხბურთელმა უსიამოვნების ამბავი დაადასტურა:

„დიახ, ჩვენს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ დავრჩები თუ არა „ბოლონიაში", ამასთან არაფერ შუაშია".



ჯუზეპე სინიორი

**ბაკუნა ძიდია**

სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა




# როგორ იპოვა მანჩესტერმა არსენალის დაკარგული



იმის თხრობა, თუ როგორ მოახერხა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მთელი 27 ტურის განმავლობაში მასზე წინ მყოფი „არსენალის“ დაწევა, გადასწრება და მერვედ პრემიერლიგის ჩემპიონად გახდომა, ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის განმარტებით დავიწყოთ.

იმის გამო, რომ პრემიერლიგის კალენდარი გვარიანად უცნაურად არის შედგენილი და გადადებული მატჩების რაოდენობას სათვალავი არ აქვს, ტურების მიხედვით მატჩების ჩამოწერა შეუძლებელია. ამიტომ პირველ სვეტში რიცხვები ტურის ნომერს კი არა, მატჩების რიგითობას აჩვენებს. მაგალითად: წინა უქმეებზე „მანჩესტერმა“ „ჩარლტონს“ რომ მოუგო, „არსენალი“ კი „ლიდსთან“ დამარცხდა, ოქმისთვის 37-ე ტურის შეხვედრები იყო, რეალურად კი „არსენალისთვის“ ეს 36-ე მეტჩი გახლდათ. ამგვარი არეული კალენდარი მცირეოდენ უხერხულობას კი იწვევს, მაგრამ წარმოდგენილი ცხრილი, ვფიქრობთ, რეალურ ვითარებას მაინც ასახავს.

სეზონი ისე დაიწყო, ლონდონელი „მეთოფეებისთვის“ ავს არაფერს მოასწავებდა. ცხრა მატჩის შემდეგ „არსენალს“ შვიდი მოგება და ორი ფრე დაგროვდება, ხოლო „მანჩესტერს“ ორი თამაშის წაგება მოესწრო. ადრეულ ეტაპზე შეუდარებელი გახლდათ ტიერი ანრი, რომელსაც გოლი გოლზე გაჰქონდა და იმთავითვე იქცა სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დასახელების უპირველეს კანდიდატად. „იუნაიტედს“ კი გოლების გატანა აშკარად უჭირდა. იმხანად ვერ იფიქრებდით, რომ რუუდ ვან ნისტელროი მოგვიანებით თავს გაიგიჟებდა და დღეისთვის, სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, 43 გოლს დააგროვებდა (ამათგან 24 პრემიერლიგაში). მაშინ კი, „იუნაიტედს“ 14 მატჩში ოდენ 18 გოლი ჰქონდა გატანილი, „არსენალს“ ამდენივე თამაშში — 31.

განგაშის ზარმა ლონდონელთათვის ოქტომბერში მსუბუქად შემოჰკრა. 12 დღეში გუნდმა ოთხი თამაში წააგო, ოთხივე ერთნაირი ანგარიშით — 1:2. ამათგან პრემიერლიგური ორი მარცხი იყო. მაგრამ, როგორც შევნიშნეთ, ეს მსუბუქი განგაში იყო, რადგან იმ მარცხებს „არსენალმა“ მიჯრით სამი მოგება მიაყოლა. ამავე პერიოდში, უფრო ზუსტად კი 9 ნოემბერს, „იუნაიტედმა“ ბოლო 14 წელიწადში პირველი მანჩესტერული დერბი წააგო, ცხრილში მეხუთე ადგილამდე დაეშვა და მცოდნე ხალხმა საჩემპიონო რბოლიდან ჩამოწერა. „სიტისთან“ წაგების მერე „იუნაიტედმა“ ვერაფერი მოუხერხა „ვესტ ჰემს“ და იმ დროისთვის, როცა გუნდებს 14-14 მატჩი ჰქონდათ ჩატარებული, მანჩესტერელები ლონდონელებს ცხრა ქულით ჩამორჩებოდნენ. ეს ყველაზე დიდი სხვაობა იყო ამ გუნდებს შორის და რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, „მანჩესტერს“ აღმასვლა და „არსენალის“ დაცემა სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო. „იუნაიტედმა“ ზედიზედ მიაწვინა „ნიუკასლი“ და „ლივერპული“, რასაც ჩაროზად „არსენალიც“ მიაყოლა. ამბობენ, ოლდტრეფორდული მატჩი საამსეზონოდ ყველაზე უსახური იყო „მეთოფეთათვისო“.

ამის მერე „იუნაიტედმა“ ერთიც წაიფორხილა, ზედიზედ დამარცხდა „ბლექბერნთან“ და „მიდლსბროსთან“, რის მერეც დაიწყო ის, რაც დღემდე გრძელდება — შობის მეორე დღიდან მოყოლებული, „იუნაიტედის“ დამარცხება პრემიერლიგაში ვერავინ შეძლო. ეს 17 მატჩია, რომელთაგან მანჩესტერელებმა 14 მოიგეს და მსაჯის შეცდომა რომ არა, მეთხუთმეტეც უნდა მოეგოთ — „ჰაიბერიზე“ ხომ ტიერი ანრი რამდენიმემეტრიან ოფსაიდში იყო, როცა მეორე გოლი გაიტანა.

„არსენალის“ საქმე კი უკან წავიდა. 29 იანვარს, „ლივერპულთან“ შეხვედრაში, ემილ ჰესკის 90-ე წუთზე გატანილი გოლით ორი ქულა დაკარგა. მერე „ნიუკასლი“ მთელი ნახევარი საათი ათი ფეხბურთელით ეთამაშა და კვლავ ორი ქულა აართვა. აქედან ორი კვირის თავზე კი 12-მატჩიანი წაუგებელი სერიაც შეწყვიტა ბლექბერნში.

აპრილმა „არსენალს“ სრული იმედგაცრუება მოუტანა. ამ თვეში გუნდმა ოთხ შეხვედრაში ექვსი ქულა დაკარგა, თანაც „ბოლტონს“ თამაშის დასრულებამდე 16 წუთით ადრე 2:0-ს უგებდა...

შარშან ამ დროს ბრწყინავდნენ ფრედი ლიუნგბერგი და დენის ბერხკამპი, ახლა მათგან აჩრდილებიღა დარჩენილიყო. ნახევარდაცვის ბურჯი პატრიკ ვიეირა დაიმტვრა, რამაც გამოაჩინა, როგორ უადვილებდა თურმე საქმეს მცველებს ფრანგი დისკვალიფიკაცია მისცეს სოლ კემპბელსაც და ყველაფერმა ერთად, „ლიდსთან“ საშინაო მატჩში „არსენალის“ ბედი გადაწყვიტა — დარჩენილ ორ მატჩში „მეთოფეებს“ „მანჩესტერის“ დაწევის შანსი მოესპოთ.

ისიც ვთქვათ, რომ „იუნაიტედმა“ მთავარ კონკურენტებთან — „არსენალი“, „ნიუკასლი“, „ჩელსი“, „ლივერპული“ — 20 ქულა მოიხვეჭა, ხოლო „არსენალმა“ — „მანჩესტერთან“, „ნიუკასლთან“, „ჩელსისთან“, „ლივერპულთან“ — ცხრა ქულით ნაკლები.

**ირაკლი ნინიძე**

| | მანჩესტერი | არსენალი | |
|---|---|---|---|
| 1 | ვესტ ბრომვიჩი 1:0 (შ) | ბირმინგემი 2:0 (შ) | თანაბარი ქულები აქვთ |
| 2 | ჩელსი 2:2 (ს) | ვესტ ჰემი 2:2 (ს) | თანაბარი ქულები აქვთ |
| 3 | სანდერლენდი 1:1 (ს) | ვესტ ბრომვიჩი 5:2 (შ) | არსენალი 2 ქულით უსწრებს |
| 4 | მიდლსბრო 1:0 (შ) | ჩელსი 1:1 (ს) | თანაბარი ქულები აქვთ |
| 5 | ბოლტონი 0:1 (შ) | სიტი 2:1 (შ) | არსენალი 3 ქულით უსწრებს |
| 6 | ლიდსი 0:1 (ს) | ჩარლტონი 3:0 (ს) | არსენალი 6 ქულით უსწრებს |
| 7 | ტოტენჰემი 1:0 (შ) | ბოლტონი 2:1 (შ) | არსენალი 6 ქულით უსწრებს |
| 8 | ჩარლტონი 3:1 (ს) | ლიდსი 4:1 (ს) | არსენალი 6 ქულით უსწრებს |
| 9 | ევერტონი 3:0 (შ) | სანდერლენდი 3:1 (შ) | არსენალი 6 ქულით უსწრებს |
| 10 | ფულემი 1:1 (ს) | ევერტონი 1:2 (ს) | არსენალი 5 ქულით უსწრებს |
| 11 | ასტონ ვილა 1:1 (შ) | ბლექბერნი 1:2 (შ) | არსენალი 4 ქულით უსწრებს |
| 12 | საუთჰემპტონი 2:1 (შ) | ფულემი 1:0 (ს) | არსენალი 4 ქულით უსწრებს |
| 13 | სიტი 1:3 (ს) | ნიუკასლი 1:0 (შ) | არსენალი 7 ქულით უსწრებს |
| 14 | ვესტ ჰემი 1:1 (ს) | ტოტენჰემი 3:0 (შ) | არსენალი 9 ქულით უსწრებს |
| 15 | ნიუკასლი 5:3 (შ) | საუთჰემპტონი 2:3 (ს) | არსენალი 6 ქულით უსწრებს |
| 16 | ლივერპული 2:1 (ს) | ასტონ ვილა 3:1 (შ) | არსენალი 6 ქულით უსწრებს |
| 17 | არსენალი 2:0 (შ) | მანჩესტერი 0:2 (ს) | არსენალი 3 ქულით უსწრებს |
| 18 | ვესტ ჰემი 3:0 (შ) | ტოტენჰემი 1:1 (ს) | არსენალი 1 ქულით უსწრებს |
| 19 | ბლექბერნი 0:1 (ს) | მიდლსბრო 2:0 (შ) | არსენალი 4 ქულით უსწრებს |
| 20 | მიდლსბრო 1:3 (ს) | ვესტ ბრომვიჩი 2:1 (ს) | არსენალი 7 ქულით უსწრებს |
| 21 | ბირმინგემი 2:0 (შ) | ლივერპული 1:1 (შ) | არსენალი 5 ქულით უსწრებს |
| 22 | სანდერლენდი 2:1 (შ) | ჩელსი 3:2 (შ) | არსენალი 5 ქულით უსწრებს |
| 23 | ვესტ ბრომვიჩი 3:1 (ს) | ბირმინგემი 4:0 (ს) | არსენალი 5 ქულით უსწრებს |
| 24 | ჩელსი 2:1 (შ) | ვესტ ჰემი 3:1 (შ) | არსენალი 5 ქულით უსწრებს |
| 25 | საუთჰემპტონი 2:0 (ს) | ლივერპული 2:2 (ს) | არსენალი 3 ქულით უსწრებს |
| 26 | ბირმინგემი 1:0 (ს) | ფულემი 2:1 (შ) | არსენალი 3 ქულით უსწრებს |
| 27 | სიტი 1:1 (შ) | ნიუკასლი 1:1 (ს) | არსენალი 3 ქულით უსწრებს |
| 28 | ბოლტონი 1:1 (ს) | სიტი 5:1 (ს) | არსენალი 5 ქულით უსწრებს |
| 29 | ლიდსი 2:1 (შ) | ჩარლტონი 2:0 (შ) | არსენალი 5 ქულით უსწრებს |
| 30 | ასტონ ვილა 1:0 (ს) | ბლექბერნი 0:2 (ს) | არსენალი 2 ქულით უსწრებს |
| 31 | ფულემი 3:0 (შ) | ევერტონი 2:1 (შ) | არსენალი 2 ქულით უსწრებს |
| 32 | ლივერპული 4:0 (შ) | ასტონ ვილა 1:1 (ს) | თანაბარი ქულები აქვთ |
| 33 | ნიუკასლი 6:2 (ს) | მანჩესტერი 2:2 (შ) | მანჩესტერი 2 ქულით უსწრებს |
| 34 | არსენალი 2:2 (ს) | მიდლსბრო 2:0 (ს) | თანაბარი ქულები აქვთ |
| 35 | ბლექბერნი 3:1 (შ) | ბოლტონი 2:2 (ს) | მანჩესტერი 2 ქულით უსწრებს |
| 36 | ტოტენჰემი 2:0 (ს) | ლიდსი 2:3 (შ) | მანჩესტერი 5 ქულით უსწრებს |
| 37 | ჩარლტონი 4:1 (შ) | საუთჰემპტონი 6:1 (შ) | *მანჩესტერი 5 ქულით უსწრებს და ჩემპიონი ხდება* |
| | შ – შინ, ს – სტუმრად | | |



მე-14 ტურში მანჩესტერელებმა „ვესტ ჰემის“ მეკარე დევიდ ჯეიმსს ერთზე მეტი ვერ გაუტანეს, ფრეს დასჯერდნენ და „არსენალს“ 9 ქულით ჩამორჩნენ

# მაგრამ რაღა დროს

## ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

**არსენალი 6:1 საუთჰემპტონი**

1:0 პირესი (9), 2:0, 3:0 პენანტი (16, 19), 4:0 პირესი (23), 5:0 პენანტი (26), 5:1 ტესემი (35), 6:1 პირესი (47)

არსენალი: ს. ტეილორი, კ. ტურე, ლუზი (ტავლარიდისი 76), სტეპანოვსი, გარი, პენანტი (ჰოიტი 90), პარლოუ, ვან ბრონკჰორსტი, პირესი (ბერხკამპი 62), ანრი, კანუ

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ტელფერი, დ. უილიამსი, მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ფ. ფერნანდესი (ბაირდი 27), პრატონი, ა. სვენსონი (ოკლი 55), ჰიგინბოთემი, ტესემი, კ. დევისი (ბიტი 76)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: ანრი, ა. სვენსონი

მსაჯი: რენიე

38 052 მაყურებელი



ყრმა ლონდონელმა ჯერმენ პენანტმა სამი გოლი მიითვალა...

**ლონდონის** „არსენალმა“ 6:1 მოუგო „საუთჰემპტონს“. ამ თამაშში ყრმა ნახევარმცველმა ჯერმენ პენანტმა თავისი პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა და საერთოდაც, „მეთოფეებმა“ მოსრეს წლეულს ასე კარგად მოთამაშე მეტოქე, რომელსაც პირველ ტაიმშივე მოუთავეს საქმე.

და მაინც, ამ თამაშს სევდიანი იერი დასდებოდა, რადგან „არსენალს“ ოცი გოლიც რომ გაეტანა — ჩემპიონი ველარაფრით გახდებოდა. არსენ ვენგერმაც თქვა: „ამან ეგებ რაღაც ხალისი დაუბრუნოს ჩვენს მოთამაშეებს. დღეის შეხვედრამ ყველას აჩვენა რა კარგი გუნდი ვართ და რა დასანანია, რომ ტიტული დავკარგეთ“.

თუმცა, „საუთჰემპტონის“ წინააღმდეგ მატჩს სხვაგვარი მნიშვნელობაც ჰქონდა: იქეთა უქმეებზე სწორედ „არსენალი“ და „საუთჰემპტონი“ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ასოციაციის თასის ფინალში და თითქოს „მეთოფეებმა“ ამ გამანადგურებელი გამარჯვებით ყველას უთხრეს, ფინალში გამარჯვებულის ვინაობა გარკვეულიაო. მაგრამ, სხვა მხრივ, ეგებ „საუთჰემპტონმაც“ წაიეშმაკა და მისთვის უდიდესი თამაშის წინ მეტოქის მოდუნება სცადა. ამ კითხვას კარდიფის „მილენიუმზე“ გაეცემა პასუხი, მანამდე კი „არსენალი“ მეორეა პრემიერლიგაში.

თამაშის გმირის, ჯერმენ პენანტის შესახებ კი მოგახსენებთ, რომ ინგლისური ფეხბურთის ეს კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავი 20 წლისაა და აქამდე მხოლოდ სათასო თამაშში გაეტანა თავისი ერთადერთი არსენალური გოლი.

**ირაკლი გამყრელიძე**



...სამიც რობერ პირესმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 37 | 24 | 8 | 5 | 72:33 | 80 |
| არსენალი | 37 | 22 | 9 | 6 | 81:42 | 75 |
| ნიუკასლი | 37 | 21 | 5 | 11 | 61:46 | 68 |
| ჩელსი | 37 | 18 | 10 | 9 | 66:37 | 64 |
| ლივერპული | 37 | 18 | 10 | 9 | 60:39 | 64 |
| ევერტონი | 37 | 17 | 8 | 12 | 47:47 | 59 |
| ბლექბერნი | 37 | 15 | 12 | 10 | 4843 | 57 |
| სიტი | 37 | 15 | 6 | 16 | 47:53 | 51 |
| ტოტენჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 51:58 | 50 |
| მიდლსბრო | 37 | 13 | 10 | 14 | 47:42 | 49 |
| საუთჰემპტონი | 37 | 12 | 13 | 12 | 42:46 | 49 |
| ჩარლტონი | 37 | 14 | 7 | 16 | 45:55 | 49 |
| ბირმინგემი | 37 | 13 | 8 | 16 | 39:46 | 47 |
| ასტონ ვილა | 37 | 12 | 9 | 16 | 41:44 | 45 |
| ფულემი | 37 | 12 | 9 | 16 | 40:50 | 45 |
| ლიდსი | 37 | 13 | 5 | 19 | 55:56 | 44 |
| ბოლტონი | 37 | 9 | 14 | 14 | 38:50 | 41 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 11 | 16 | 40:57 | 41 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 6 | 7 | 24 | 27:63 | 25 |
| სანდერლენდი | 37 | 4 | 7 | 26 | 21:61 | 19 |

*გეტყვიან, ჰიმნიაო და შენც იძულებული ხარ, სტადიონზე მისულმა მოუსმინო; გეტყვიან მაგარიაო და, თუმცა ძილის წამალივით მოქმედებს, მატჩის მოლოდინში, ცხადია, ვერ იძინებ; გეტყვიან, ბიჭებს აგულიანებსო, თუმცა ბიჭების აზრს არავინ კითხულობს. ასეთი „შემოქმედების“ მორიგი ნაყოფი მორჩილაძე-ქუჩის ბიჭები-სეფაშვილის მიერ შექმნილი, ვითომ საქართველოს ნაკრების გამამხნევებელი სიმღერაა. მოისმინეთ? მაშ, გილოცავთ ახალ ძილისპირულს.*

# პრემიერლიგა ნაღდ ბიჭებს ირჩევს

...ჯეიმს ბიტი გაგიგიათ? ის მუსიკალურ წრეებში სრულიად უცნობი კაცია, თუმცა ისეთი კომპაქტ-დისკი შექმნა, „საუთჰემპტონის“ წლევანდელი წარმატებები ლამისაა სწორედ ამას მიაწერონ. დიახ, „საუთჰემპტონის“ ფორვარდმა საცეკვაო და ტრანს-მუსიკის შერწყმით თანაგუნდელებისთვის საგანგებო მატჩისწინა, გამამხნევებელი CD ჩაწერა.

ეს ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ინგლისური პრემიერლიგის სპონსორმა „ბარქლიქარდმა“ 20 კლუბში გამოკითხვა ჩაატარა — მატჩის წინ რომელი მუსიკით ამხნევებთ თქვენს ფეხბურთელებსო. უპირობო პირველ ადგილზე ამერიკელი ემინემი გავიდა „8 მილის“ ალბომით, მეორეზე კი ირლანდიური U2 კომპოზიციით BEAUTIFUL DAY (მშვენიერი დღე).

| 18.00 | 2514 | იუვენტუსი-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2515 | პიაჩენცა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2516 | უდინეზე-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2517 | ატლეტიკო-ალავესი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2518 | უელვა-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2519 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2520 | ესპანიოლი-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2521 | მალაგა-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **11 მაისი** | | | |
| 20.30 | 2523 | შალკე-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20 30 | 2524 | არმინია-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2525 | ჩარლტონი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2526 | ჩელსი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2527 | ევერტონი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2528 | ლიდსი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2529 | სიტი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2530 | სანდერლენდი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2531 | ტოტენჰემი-ბლეკბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2532 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2533 | სელტა-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2534 | მალიორკა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2535 | რაიო-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2536 | ვალენსია-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2537 | სევილია-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | |
| 18.30 | 2404 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,3 | 3,4 |
| 18.30 | 2405 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,15 | 5,0 |
| 18.30 | 2406 | ჰერტა-ბაიერნი | 1,75 | 2,1 |
| 18.30 | 2407 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,45 | 2,8 |
| 18.30 | 2408 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,65 | 2,3 |
| 18.30 | 2409 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,65 | 2,3 |
| 18.30 | 2410 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,75 | 2,1 |
| 18.00 | 2411 | ბოლონია-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 18.00 | 2412 | ბრეშა-მილანი | 2,2 | 1,7 |
| 18.00 | 2413 | ინტერი-პარმა | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 2414 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,15 | 5,0 |
| 18.00 | 2415 | პიაჩენცა-რეჯინა | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2416 | უდინეზე-მოდენა | 1,55 | 2,5 |
| 20.00 | 2417 | ატლეტიკო-ალავესი | 1,5 | 2,6 |
| 22.00 | 2418 | უელვა-რეალი | 2,8 | 1,45 |
| 23.00 | 2419 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,55 | 2,5 |
| 23.30 | 2420 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,55 | 2,5 |
| 00.30 | 2421 | მალაგა-დეპორტივო | 2,1 | 1,75 |
| | | **11 მაისი** | | |
| 20.30 | 2423 | შალკე-ჰანოვერი | 1,5 | 2,6 |
| 20.30 | 2424 | არმინია-ბოხუმი | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2425 | ჩარლტონი-ფულემი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2426 | ჩელსი-ლივერპული | 1,85 | 1,95 |
| 19.00 | 2427 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,95 | 1,85 |
| 19.00 | 2428 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,6 | 2,4 |
| 19.00 | 2429 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2430 | სანდერლენდი-არსენალი | 2,8 | 1,45 |
| 19.00 | 2431 | ტოტენჰემი-ბლეკბერნი | 1,9 | 1,9 |
| 19.00 | 2432 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 2,5 | 1,55 |
| 21.00 | 2433 | სელტა-რასინგი | 1,4 | 3,0 |
| 22.00 | 2434 | მალიორკა-სოსიედადი | 1,9 | 1,9 |
| 22.00 | 2435 | რაიო-ბეტისი | 1,9 | 1,9 |
| 23.00 | 2436 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,3 | 4,0 |
| 24.00 | 2437 | სევილია-ბარსელონა | 1,95 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | |
| 18.30 | 2204 | მიუნხენი-კოტბუსი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 2205 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2206 | ჰერტა-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2207 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 2208 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2209 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2210 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2211 | ბოლონია-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2212 | ბრეშა-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2213 | ინტერი-პარმა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2214 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2215 | პიაჩენცა-რეჯინა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2216 | უდინეზე-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2217 | ატლეტიკო-ალავესი | 1,85 | 1,75 |
| 22.00 | 2218 | უელვა-რეალი | 1,9 | 1,7 |
| 23.00 | 2219 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2220 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 2221 | მალაგა-დეპორტივო | 1,9 | 1,7 |
| | | **11 მაისი** | | |
| 20.30 | 2223 | შალკე-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2224 | არმინია-ბოხუმი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2225 | ჩარლტონი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2226 | ჩელსი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2227 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2228 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2229 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2230 | სანდერლენდი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2231 | ტოტენჰემი-ბლეკბერნი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2232 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2233 | სელტა-რასინგი | 1,85 | 1,75 |
| 22.00 | 2234 | მალიორკა-სოსიედადი | 1,9 | 1,7 |
| 22.00 | 2235 | რაიო-ბეტისი | 1,85 | 1,75 |
| 23.00 | 2236 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,85 | 1,75 |
| 24.00 | 2237 | სევილია-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | |
| 18.30 | 2304 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2305 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,8 | 1,8 |
| 18.30 | 2306 | ჰერტა-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2307 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2308 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2309 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2310 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2311 | ბოლონია-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2312 | ბრეშა-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2313 | ინტერი-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2314 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2315 | პიაჩენცა-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2316 | უდინეზე-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2317 | ატლეტიკო-ალავესი | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 2318 | უელვა-რეალი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2319 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2320 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2321 | მალაგა-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| | | **11 მაისი** | | |
| 20.30 | 2323 | შალკე-ჰანოვერი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 2324 | არმინია-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2325 | ჩარლტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2326 | ჩელსი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2327 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2328 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2329 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2330 | სანდერლენდი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2331 | ტოტენჰემი-ბლეკბერნი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2332 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2333 | სელტა-რასინგი | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 2334 | მალიორკა-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2335 | რაიო-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2336 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 24.00 | 2337 | სევილია-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილერიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[ა] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანების დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

**NBA PLAY OFF** მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# რაღაც დამწვრის სუნია, ხო იცი...

## თვითკმაყოფილ და მაძღარ ლეიკერსს მსუქანი უკანალი აეწვა





REUTERS

ბრიუს ბოუენილა ცქლდათ შაკილ ონილს, კობი ბრაიანტს, დერიკ ფიშერს და ამათიანებს



7 მაისი

### დასავლეთი

#### სან ანტონიო 2:0 ლეიკერსი

**სან ანტონიო 114:95 ლეიკერსი**

**სან ანტონიო: პარკერი (16), ჯეკსონი (10), ბოუენი (21), დანკანი (12 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), რობინსონი (4); ჯინობილი (17), კლაქსტონი (15), ვილესი (8), ფერი (5), სმიტი, როუზი, კერი**

**ლეიკერსი: ფიშერი (5), შოუ (6), ბრაიანტი (27), ჰორი (2), ონილი (27 ქულა, 10 მოხსნა); პარგო (13), რაში (10), მედვედენკო (4), მადრენი (1), უოლკერი**

უძლეველი ჩემპიონის მარცხის სუნი დატრიალდა. „ლეიკერსმა“ სან ანტონიოში მეორე შეხვედრაც დათმო და გვარიანად გაირთულა საქმე. არადა, ლოსანჯელესელები 1999 წლის შემდეგ პლეი ოფში არ დამარცხებულან და ზედიზედ 13 სერია მოიგეს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „ლეიკერსი“ მაშინაც „სან ანტონიოსგან“ იძლია. „სფურზი“ მაშინ ჩემპიონი გახდა, მერე კი „ლეიკერსი“ გაბატონდა. როგორც ჩანს, შაკილ ონილის და კომპანიის მონოპოლიას საპლეიოფო ოქროზე თუ დაამხობს, ისევ ტიმ დანკანის რაზმი, თორემ მანამდე ვერავინ მოახერხა ლოსანჯელესელები ორი გამარჯვებით ჩამოეტოვებინა.

დანკანი ვახსენეთ და, არ იქნება, არ ვთქვათ, რომ ბოლო ორი სეზონის საუკეთესო მოთამაშე ამ პლეი ოფში რაღაც ფერზე ვერაა. მრისხანება განელებია და მკვლელის ინსტინქტი დაჩლუნგებია. ახლაც „ლეიკერსს“ სულ რაღაც 12 ქულა ჩაუგდო და სხვებს რომ არ ეყოჩაღათ, ჩემპიონთა შესაძლო მარცხზე ასე ხმამაღლა არ დაირხეოდა ხმები. იმ სხვათაგან კი პირველ რიგში აღსანიშნია ბრიუს ბოუენი, მეორე რიგში კი მანუ ჯინობილი, სპიდი კლაქსტონი, ტონი პარკერი და... დანარჩენთა გვარებს ოქმში ამოიკითხავთ.

ბრიუს ბოუენს დაცვაში გაუვალი კაცის სახელი გავარდნია და მალე ჟურნალისტები სეზონის საუკეთესო დამცველთა ხუთეულებს რომ შეადგენენ, ბოუენი პირველში თუ არა, მეორე ხუთეულში უეჭველად მოუნახავენ ადგილს. როცა მისი გუნდი შეტევაზეა, ბოუენს მეტოქისთვის ფორიაა. „სან ანტონიოს“ იშვიათად უხეირია მისგან თუნდაც ათიოდ ქულით. ახლა კი ბოუენმა ერთბაშად 27 ქულა მოიხვეჭა, რაც, რაღა თქმა უნდა, მისთვის სარეკორდოდ ბევრია. დიდი ნაწილი 3-ქულიანებით მოუგროვებია, რაკი პირველი და მეორე ჩაუგდია, მერე უსვრია და უსვრია და შორი დისტანციიდან რვა ნატყორცნიდან შვიდი ჩაუგდია. ამასთან ბოუენმა არც თავისი ჩვეული სამუშაო დაივიწყა და ამ შემთხვევაში რატომღაც მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე მოთამაშე კობი ბრაიანტი ფარზე არ გააპარპაშა.

ბრაიანტი აგდებდა და არა ყრიდა ბურთებს. ვერც შაკილ ონილი გაქანდა სრულად და „ლეიკერსმაც“ წააგო. შაკილი მატჩის შემდეგ უხასიათოდ იყო, რაკი მსაჯებმა შეტევაში ერთბაშად სამჯერ დააჯარიმეს. ონილს მწვრთნელი ფილ ჯეკსონი გამოექომაგა და ლამის აწუწუნდა, რაც „ძენ მასტერს“ არ სჩვევია. ჯეკსონი იმას ჩიოდა, ონილი ძალისმიერი მოთამაშეა და ახლა განსაკუთრებით არ უუხეშია. მაშ, რატომ დაუსტკინეს მსაჯებმა ისეთი ჯარიმები, რასაც მანამდე არ უსტვენდნენ და შაკილს თავისი თამაშის საშუალებას აძლევდნენ. ამათ შაკი თამაშს მოსწყვიტეს და მთელი გუნდიც კი ამოაგდეს კალაპოტიდანო.

ასეა თუ ისე, „ლეიკერსმა“ მნიშვნელოვანი თამაში წააგო და გზა გაიმრუდა. 0:2, ცხადია, 0:4-ს არ ნიშნავს და ბრძოლები გაგრძელდება, მაგრამ ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ ამხელა ჩამორჩენის დაფარვა იშვიათად უხერხდებათ კარგ გუნდებს.

### აღმოსავლეთი

#### ნიუ ჯერსი 2:0 ბოსტონი

**ნიუ ჯერსი 104:95 ბოსტონი**

**ნიუ ჯერსი: კიდი (23 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), კოტლზი (16), ჯეფერსონი (25), მარტინი (14), კოლინზი (10); როჯერსი (5), უილიამსი (4), ჯონსონი (4), პარისი (3)**

**ბოსტონი: დელკი (19), პირსი (32 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა), მაკარტი (4), უოლკერი (7), ბათი (15); უილიამსი (9), ბლუნტი (5), ბრემერი (4)**

„ნიუ ჯერსი“ შოკში იყო, ბოსტონი კი განაგრძობდა დაწოლას და სხვაობაც თვალდათვალ ილეოდა. პოლ პირსის წყვილი საჯარიმოს შემდეგ „ბოსტონმა“ ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა. ეს იყო „სელტიქსის“ მე-13 და მე-14 ქულები მიყოლებით. სტუმრები ისეთი აღმაფრენით თამაშობდნენ, რომ ალბათ კიდევ ბევრს ჩაუყრიდნენ მასპინძლებს, რომლებისთვისაც ბოლო მეოთხედში ლიდერობის დაკარგვა საბედისწერო იქნებოდა.

ნიუჯერსელები მეორეწლიანმა ფორვარდმა რიჩარდ ჯეფერსონმა იხსნა. მაშინ, როცა მისი თანაგუნდელები ერთმანეთს აჩეჩებდნენ ბურთს, ჰა და რამე ქენიო, ამ ჯეელმა ინიციატივა გამოიჩინა და ორი ჯარიმის სროლის უფლება მოიპოვა. მატჩის დამთავრებამდე ექვს წუთზე ცოტა მეტი რჩებოდა და „ნეთსს“ 16-ქულიანი უპირატესობიდან ორი ქულაღა შერჩენოდა. ჯეფერსონმა, თუმც ჯერ გამოცდილება აკლია, კუთვნილი ორი საჯარიმო აუღელვებლად ისროლა. ჩააგდო და „ნიუ ჯერსი“ 84:80 დააწინაურა. რამდენიმე წამის შემდეგ უკვე სხვა მასპინძელმა კენიონ მარტინმაც ჩააგდო ერთი საჯარიმო, სხვებიც გამოფხიზლდნენ და საფრთხემ გადაიარა. „ნეთსმა“ მოახერხა დისტანციის შენარჩუნება, მერე გაზრდა და სერიაში 2:0 დაწინაურდა.

არადა, თუ იმ 14:0 საბოლოომეოთხედო ჩავარდნას არ ჩავთვლით, „ნიუ ჯერსი“ მთელი მატჩის განმავლობაში აღემატებოდა „ბოსტონს“. მართალია, მასპინძლებმა ვერ გამოთიშეს პოლ პირსი, მაგრამ, სამაგიეროდ, „ხელი არ გაანძრევინეს“ „სელტიქსის“ მეორე ლიდერს, ანტუან უოლკერს. ამ ყიამყრალ ფორვარდს ნიუჯერსელთაგან კენიონ მარტინი მეურვეობდა და საიმედოდაც მოახერხა მისი ამოკეტვა. უოლკერმა 15-ჯერ ისროლა თამაშიდან და 12 ააცილა. 5-ჯერაც ბურთი დაკარგა და რა გასაკვირია, თუ ნამარცხევს წართმეოდა მეტოქის აბუჩად აგდების ჩვეული ხალისი. თან ერთგვარი შურით ლაპარაკობდა თანაგუნდელ პოლ პირსზე, რომელიც კრიტიკულ მომენტებში ყოველთვის მასზე მეტ ფხას იჩენს — „პოლი სუპერვარსკვლავია და ეზიდება თავის ტვირთს. მეც უცდილობ, გვერდში დავუდგე მას. ვცდილობ, ვიქცე საპლეიოფო მოთამაშედ“ — ამბობდა უოლკერი.

ასე თუ ისე, მის გამო თუ სხვის გამო, „ბოსტონმა“ მეორე ნიუჯერსული შეხვედრაც წააგო და ახლა შინ ორივე თამაშის მოგება მართებს, რაც ერთობ გაუჭირდება „ნიუ ჯერსისთან“, რომელსაც უკვე გაუმყარდა გამარჯვებულის ფსიქოლოგია.

## ტიმ დანკანის მეექვსე პრესხუთეული

**გუშინწინ** ამერიკელმა ჟურნალისტებმა კიდევ ერთხელ გამოიყენეს თავიანთი პრივილეგია და დაასახელეს 2002-03 წლების სეზონის სიმბოლური ხუთეულები. ხუთეული სამია და პირველში ზედიზედ მეექვსედ მოხვდა ამ და წინა სეზონების უძვირფასესი მოთამაშე ტიმ დანკანი.

ჟურნალისტებმა პირველ ხუთეულში დანკანის გარდა მართლაც რჩეული ბიჭები შეიყვანეს — კევინ გარნეტი, ტრეისი მაკგრეიდი, შაკილ ონილი და კობი ბრაიანტი.

ხუთეულები კი ასე გამოიყურება:

**პირველი ხუთეული**

კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო)
კევინ გარნეტი (მინესოტა)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
შაკილ ონილი (ლეიკერსი)

**მეორე ხუთეული**

ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი)
ალენ აივერსონი (ფილადელფია)
დირკ ნოვიცკი (დალასი)
კრის ვებერი (საკრამენტო)
ბენ ვოლესი (დეტროიტი)

**მესამე ხუთეული**

სტივენ მარბერი (ფინიქსი)
სტივ ნეში (დალასი)
პოლ პირსი (ბოსტონი)
ჯამალ მაშბურნი (ნიუ ორლეანი)
ჯერმენ ონილი (ინდიანა)

# ჩვენ ერთად ვეღარ ვიმუშავებთ! უთხრეს ღმერთს





სამი წლის წინ ები პოლინი (მარჯვნივ) და „ვაშინგტონის“ სხვა ბოსები მაიკლ ჯორდანს ყურებამდე მორღვეული პირით შეხვდნენ, ახლა კი კურტნის მუშასავით გაუშვეს

**გაგონილა?** მაიკლ ჯორდანს კარი ცხვირწინ მიუხურეს, კარისკენ მიუთითეს, გააგდეს, არა აქვს მნიშვნელობა, რა დაერქმევა ამას. მთავარია, რომ კალათბურთის ღმერთი დაქირავებული მუშასავით დაითხოვეს სამსახურიდან, „ვაშინგტონ ვიზარდსიდან“.

მოგეხსენებათ, მაიკლ ჯორდანმა აპრილში, რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ თამაშს თავი ანება, ალბათ საბოლოოდ. მას უთუოდ კიდევ მოუნდება თამაშში დაბრუნება, მაგრამ უკვე 40 წლისაა და ვეღარ მოახერხებს, თუმც ახლა სხვა რამეზეა საუბარი. სანამ ჯორდანი „ვაშინგტონის“ მაისურას მოირგებდა, ის ამ კლუბის პრეზიდენტი გახლდათ და ახლაც აპირებდა ძველ სამუშაოზე დაბრუნებას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მაიკლ ჯორდანისთვის ყველა კარი ღია როდია. „ვიზარდსის“ მთავარმა მფლობელმა ები პოლინმა ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ ის სამსახურიდან დაითხოვა

„კლუბის პატრონებთან შეთანხმებული ვიყავი, რომ კლუბთან ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა მექნებოდა, მაგრამ მათ შეცვალეს ეს გადაწყვეტილება. მე შოკირებული ვარ ამით“ — ეუბნებოდა ჯორდანი შემოჯარულ ჟურნალისტებს.

ჩანს, „ვაშინგტონის“ პატრონებმა ჩათვალეს, რომ მაიკლ ჯორდანმა ვერ გაამართლა იმედი. მან ვერ ააყვავა კლუბი ვერც როგორც პრეზიდენტმა და ვერც როგორც მოთამაშემ. მისი მოედნიდან წასვლის მერე კი „ვიზარდსის“ პერსპექტივებს ბინდი ჩამოაწვა, რადგან გუნდი მომართული იყო ჯორდანის თამაშზე და უმისოდ უეჭველად ჩაიძირება.

სანამ ჯორდანი გონზე მოსვლას ცდილობს, ეს რა მაკადრესო, უკვე გამოუჩნდნენ მთხოვნელები. შარლოტში ახლადდაარსებული კლუბის (ეს კლუბი ნბა-ს ფერხულში 2004 წლიდან ჩაებმება) შავკანიანი პრეზიდენტი რობერტ ჯონსონი ჯორდანს ნებისმიერ სამსახურს სთავაზობს — პრეზიდენტობას, გენერალური მენეჯერის სკამს და ასე შემდეგ...

არის კიდევ ერთი ვარიანტიც, სადაც ჯორდანს საკალათბურთო ფუნქციონერის კარიერის გაგრძელება შეეძლება. სულ ახლახან გადადგა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ პრეზიდენტი ბობ ვისტიტი და ამ მსუქანი კლუბის საქმეთგამრიგის ჯერაც თბილი სკამი პატრონს ელის. ისე, „პორტლენდის“ ერთპიროვნულ მფლობელს, მილიარდერ პოლ ალენს, ჯერ არ გამოუთქვამს ჯორდანის დაქირავების სურვილი.

# ნუ შეიქმ ზუას!
# ქალის კაცის ხელი უნდა ეტყობოდეს


ელენა დოკიჩი

**TELECOM ITALIA MASTERS ROMA**
**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 2,45 მილიონი ევრო**

**მეორე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი)** — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 6:4; **კარლოს მოია (3, ესპანეთი)** — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია)** — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 7:6 (7:4), 6:2; **მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია)** — ენდი როდიკი (5, აშშ) 6:7 (6:8), 6:3, 6:4; **ალბერტ კოსტა (7, ესპანეთი)** — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:7 (3:7), 6:2, 6:4; **იირჟი ნოვაკი (8, ჩეხეთი)** — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1, 6:4; **რაინერ შიუტლერი (12, გერმანია)** — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:4), 6:2; **გილერმო კორია (15, არგენტინა)** — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:1, 7:6 (8:6); **ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)** — ჯორჯო გალიმბერტი (იტალია) 7:5, 6:1; **გასტონ გაუდიო (არგენტინა)** — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4, 6:2; **რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი)** — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:3; **ფელიძს მანტია (ესპანეთი)** — მარდი ფიში (აშშ) 6:4, 6:3; **ტომი რობრედო (ესპანეთი)** — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:2, 6:0; **იარკო ნიემინენი (ფინეთი)** — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:5, 4:6, 6:1; **ფილიპო ვოლანდრი (იტალია)** — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:1, 7:5; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)** — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:2, 6:3

იმდღევანდლის შემდეგ რომაულ მასტერსთიხნარს ერთი ამერიკელიც აღარ შერჩა. ანდრე აგასისა და ჟან-მიშელ გამბილის კვალად ჩოგნების ნაადრევად დაშლილება მეხუთე ნომრად განთესილ ენდი როდიკსა და მარდი ფიშსაც მოუხდათ.

შარშანდელი ნახევარფინალისტი როდიკი, ვისაც ამქარში ერთ-ერთი უმძლავრესი მოწოდება დაეკვეხება, წოწოლა ჰოლანდიელმა მარტინ ვერკერკმა აოტა.

24 წლის ვერკერკის სახელი და გვარი საჩოგბურთო მთავარსათაურებში პირველად და უკანასკნელად წლევანდელი იანვრის ბოლოს აქტივტივდა, როცა მან მილანურ ხალიჩაზე კარიერის პირველი ტიტულის მოპოვება შეძლო.

მას შემდეგ იგი კიდევ მრავალ ტურნირზე დალანდეს, მაგრამ მილანური წარმატების განმეორება ეგრეც ველარსად მოუხერხდა.

ჩვენი კლავიატურის არეში ის მხოლოდ ენდი როდიკის კაცურად გაბერტყვამ დააბრუნა.

„გაბერტყვა" ვინმეს გადაჭარბებულ შეფასებად არ მოეჩვენოს — თავადაც ლონიერ ენდიბიჭს ჰოლანდიელმა ჯამში 22 ეისი გადაუჭირა და ამ 22-დან სამი მატჩის დამაგვირგვინებელი მოწოდებები გახლდათ.

თანაც არ დაგავიწყდეთ, ვერკერკს წაგებული სეტის შემდეგ ორის უკუგება დასჭირდა. და კიდევ — რომში მას აქამდე არასოდეს უჩოგნავია.

ვერკერკი: „როცა სახელიან მოთამაშეებს ხვდები, საკუთრივ საჩოგბურთო რამე-რუმეებზე მეტად მათ სახელზე ფიქრობ. მაგრამ ასე მე ადრე მემართებოდა, ახლი კი ჩემს თავს ვეუბნები: ვისაც უნდა ეჭიდავებოდე, მნიშვნელობა არა აქვს, გინდა სამპრასი იყოს, გინდა — აგასი. შენ ყველაფერი უნდა გააკეთო საიმისოდ, რათა ამ კონკრეტულ შეხვედრაში იმარჯვო."

შეგახსენებთ, რომ საამკვიროდ გამოქვეყნებულ რეიტინგსიაში ჰოლანდიელს მხოლოდ 68-ე ადგილი უპყრია, ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ნახევარფინალისტი როდიკი კი ორივე კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილზე ბოგინობს.

ახლა სხვა მატჩებს რაც შეეხება.

რაკიღა ამერიკელებით დავიწყეთ, როდიკამდე გავარდნილ მარდი ფიშზეც ვთქვათ — მით უფრო, რომ მასზე საუბარი ნება-ნება მიგვიყვანს ესპანელთა თემასთან, რაიც რაგინდარა ევროსათიხნარო ტურნირზე ნიადაგ ანგარიშგასაწევი თემად წარმოგვიდგება.

ბევრი რომ არ ჩავახუჭუჭოთ, წლეულს ისე-რა მოსარჯე ფიში 28 წლის ესპანელმა, 9-გზის მეტიტულე ფელიქს მანტიამ გააიმასჭნა.

მანტიას გარდა კი უკანასკნელ თექვსმეტეულს იმ დღეს კიდევ ოთხმა ესპანელმა უწია. ამათგან ტურნირის მეორმეჩოგნედ განთესილმა ფერერომ მეხუთე საკარიერო შეხლაში მეოთხე მარცხი აგემა ამაგდარ თვისტომსა და 17-გზის მეტიტულე ალექს კორეჩას.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ წლის დასაწყისიდან ნათამაშებ 36 შეხვედრაში კოლობიჭს უკვე 30 გამარჯვება დაუგროვდა, რაც — საქმეში ჩახედული ხალხის თანახმად — მას აქამდე ვერასოდეს მოეხერხებინა.

ჰო, მართლა — ამ 36-დან 20 შეხვედრა ფერერომ თიხნარზე ითამაშა და მეტოქეებს მხოლოდ ერთი მატჩი დაუთმო.

რომში მისმომდევნოდ განთესილმა კარლოს მოიამ ბრგე ბელარუსი მაქს მირნი დააოკა და ფერეროს დარად 30-ე წლევანდელი გამარჯვება მოიმკა. მისი წლევანდელი სათიხნარო მონაგარი კი ამგვარია — 21 მოგება ორი მარცხის წილ.

მოია რომში უკვე მერვედ გამოდის, მაგრამ — უნდა დაიჯეროთ — მეოთხედფინალამდე ჯერ ერთხელაც ვერ გაუღწევია. სამეოთხედფინალო საგზურს მას ამ ჯერზე ევგენი კაფელნიკოვი შეეცილება, ვისაც — მიუხედავად იმისა, რომ იქ უკვე მეათედ ბუქნაობს — იქაური მეოთხედფინალის გემო ასევე არასოდეს გაუსინჯავს.

ეს მათი მეექვსე მატჩი იქნება. წინა ხუთიდან პირველ ორში რუსმა ივარგა, მერე და მერე კი სულ მოიას ღლეგრძელობისა იყო. ამბობენ, ახლაც მოია იხეიერებსო. ვნახოთ.

სხვაფრივ — კვლავ დამაჯერებლად იბურთავა მეოთხე ნომრად განთესილმა როჯერ ფედერერმა. წლეულს უკვე სამი ტიტულის მომგები ბაზელელი ამქარში პირველი კაცი შეიქნა, წლეულს 33 მოგების დაგროვება რომ მოახერხა.

**MASTERCARD GERMAN OPEN**
**ბერლინი. თიხნარი**
**საპრიზო 1,242 მილიონი $**

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი (1, ბელგია)** — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ)** — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:4, 6:4; **ამელი მორესმო (5, საფრანგეთი)** — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:1, 6:4; **ელენა დოკიჩი (8, სერბეთი და ჩერნოგორია)** — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 7:6 (7:5), 6:4; **ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)** — ანასტასია მისკინა (9, რუსეთი) 6:1, 6:2; **ელენი დანილიდუ (12, საბერძნეთი)** — ნადია პეტროვა (რუსეთი) 1:6, 6:2, 6:2; **ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია)** — მეგან შონესი (14, აშშ) 3:6, 6:4, 6:1; **პატი შნიდერი (15, შვეიცარია)** — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 7:6 (7:4), 6:4; **ანა პისტოლეზი (16, ისრაელი)** — ანკა ბარნა (გერმანია) 6:3, 6:2; **ნატალი დეში (17, საფრანგეთი)** — მაია მატევჟიჩი (სლოვენია) 6:4, 6:2; **იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი)** — დინარა საფინა (რუსეთი) 6:3, 4:6, 6:4

რეიტინგსიის მეორე ადგილისთვის ბრძოლა ტურნირის მთავარმეჩოგნე კიმ კლაისტერსმა წარმატებულად დაიწყო. მოკლეკაბო ლუამ მას სუსტი წინააღმდეგობა გაუწია და კარგი სასტარტო განწყობა დააკვებინა.

თუმცა კიმი ისედაც ჩინებულ გუნებაზეა — რაკიღა გერმანელთა სატახტოში თავის კაცთან, საროლანგაროსოდ მოარდადეგე ლეიტონ ჰიუიტთან ერთად ჩასული საკორტო სამეებს არასაკორტოსაც უხვად უხამებს.

განთესილთაგან იმ დღეს მხოლოდ ორმა — რუსმა მისკინამ (9) და ამერიკელმა შონესიმ (14) წაიფორხილეს. პირველს თვისტომი, გასულ უქმეებზე ხორვატიულ ბოლში კარიერის პირველი ტიტულის მიმთვლელი ვეროჩკა ზვონარიოვა მოერია, მეორეს კი — შავტუხა კოლუმბიელი სულუაგა.

სხვებს არაფერი გასჭირვებიათ. გერმანელთა კაფანდარა ფალავან ვაინგარტნერთან კეკლუცი დოკიჩის საპირველსეტო ბუღრაობას თუ ჩავთვლით.

20 წლის სალუქი სერბგოგო წლეულს საერთოდაც ღორო-ჩოღროდ თამაშობს და ევებ გახსოვდეთ, წლის პირველ ნახევარფინალს მხოლოდ წინა კვირაში, ვარშავულ თიხნარზე უწია.

ამ ბოლო დროს დოკიჩის ჰაინც გუნტჰარდტი გეშავს, კაცი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში შტეფი გრაფის საჩოგბურთო ოსტატობას ხვეწდა. თავად ელენა ფიქრობს, რომ მისი ბოლოდროინდელი გამოყინჩება სწორედ ამ კაცის მადლიანი ნაკვალევი უნდა იყოს.

ჰოდა, ჩვენც ეგ გვინდა, რამეთუ მის შესახებ საუბარს ჩვენს მკაცრსა და ოფლიან სასპორტო დისკურსში ნიადაგ ხორბლისფერი ობერტონები და მაკვარანცხი ობერშეგრძნებები შემოაქვს.

რა, არა?! ჰაი-ჰაი, რომ კი!

**ლევან ძელაურაძე**


მარტინ ვერკერკი


ენდი როდიკი



*ერთი ოქრო და ერთიც ბრინჯაოს მედალი, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი — ესაა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მონაგარი რიგაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე*

# მსაჯები ჯვარედინად სჯიან

— შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმც მეტი შეიძლებოდა. უკეთესი მსაჯობის შემთხვევაში კიდევ ორი მედლის აღება შეგვეძლო — თქვა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ — რევაზ მინდორაშვილისა და, რა თქმა უნდა, ელდარ კურტანიძის გამარჯვების იმედი გვქონდა. სამწუხაროდ, ელდარი ფსიქოლოგიურად არ აღმოჩნდა მზად ტურნირისთვის, თორემ მას 96 კილოგრამ წონაში რეალური მეტოქე არა ჰყავს და ამას მსოფლიოზეც დაამტკიცებს და ათენის ოლიმპიადაზეც. რაც შეეხება დავით პოლოსიანს, ეტყობა, მსაჯებმა თვითონ არ იციან, ჯვარედინი ჩავლების დროს რა კრიტერიუმებით განსაზღვრონ მოჭიდავეთა მოქმედება...

სპორტის დეპარტამენტში გუშინ გამართულ პესკონფერენციას ესწრებოდნენ ევროპის ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი და მესამე პრიზიორი ალექსი მოდებაძე, აგრეთვე დელეგაციის ხელმძღვანელი ომზარ შოშიტაიშვილი და ორივე მედალოსნის აღმზრდელი მარლენ ოსიყმაშვილი.

რევაზ მინდორაშვილი თავისი გამარჯვებით გახარებული და თან ცოტა დაბნეულიც ჩანდა. ასეთი წარმატება მისთვის პირველია და ყურადღების ცენტრში ყოფნას მიჩვეული არ არის. აი, რა თქვა მან:

— რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, მაგრამ ჩემი მთავარი მეტოქე ადამ საითიევი რიგაში არ გამოსულა და ყველაზე დიდი წინააღმდეგობაც მისმა შემცვლელმა ვადიმ ვალიევმა გამიწია. მსოფლიოსთვის საითიევი ალბათ ფორმაში იქნება. მას და კუბელ რომეროს ჩემს მთავარ კონკურენტებად ვთვლი მსოფლიოს ჩემპიონატზეც და ათენის ოლიმპიადაზეც.

როგორც ყველას, ალექსი მოდებაძესაც გაუჭირდა ოლიმპიურ და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონთან, რუსეთის სახელით მოასპარეზე წარმოშობით ქართველ დავით მუსულბესთან ჭიდაობა.

— დაუმარცხებელი არავინაა. ალექსი თუ წონაში მოიმატებს და ფიზიკურადაც კიდევ უფრო მომძლავრდება, მას ნიჭი არ აკლია და აუცილებლად გახდება ჩემპიონი — გვპირდება მარლენ ოსიყმაშვილი.

ტურნირი ბრწყინვალედ ყოფილა ორგანიზებული. 4 მაისი ლატვიის დამოუკიდებლობის დღეა და რიგაში ცხადლივ იგრძნობოდა, რომ ლატვია არა მარტო დამოუკიდებელი ქვეყანაა, არამედ ევროპულიც.

**შოთა ძოძალიშვილი**


ალექსი მოდებაძე

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი

26 აპრილი – 11 მაისი

# შვედეთი — სუომი

## სულ ომი, სულ ომი...

*7 მაისს სიურპრიზები არ ყოფილა. მეოთხედფინალში სწორედ იმ გუნდებმა იმარჯვეს, რომლებმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე მაღალი ადგილები დაიკავეს და საერთოდაც მსოფლიოს ჩემპიონატზე უკეთ გამოიყურებიან ლოგიკურობის მიუხედავად, ყველა მატჩი შინაარსიანი და დაძაბული გამოდგა. შვედების და ფინელების პაექრობამ კი ყველა მოლოდინს გადააჭარბა*



დიდია შვედებთან წაგებულ ფინელთა მწუხარება

### შვედეთი 6:5 ფინეთი *1:3 3:2 2:0*

**1:0 მ. სუნდინი (5), 1:1 სელიანე (8), 1:2 სელიანე (10), 1:3 კალიო (19), 1:4 რინტანენი (26), 1:5 პელტონენი (27), 2:5 იუნსონი (29), 3:5 ფორსბერგი (30), 4:5 ჰოგლუნდი (38), 5:5 ფორსბერგი (49), 6:5 აქსელონი (56)**

„ასეთი რამ არასდროს მინახავს" — გაოცებული იყო შვედი მატიას ნორსტრიომი. მისი რა გიკვირთ, ჰოკეის სტატისტიკოსებმაც ვერ გაიხსენეს მსოფლიოს პირველობების ისტორიაში მსგავსი შემთხვევა. როგორ არა, ხდებოდა, რომ რომელიმე გუნდი ამა თუ იმ შეჯიბრებაში ახერხებდა სოლიდური სხვაობის გაქვითვას და მერე იგებდა კიდეც, მაგრამ ისეთ პრინციპულ მეტოქეთა ესოდენ მნიშვნელოვან მატჩში, ფინეთი-შვედეთი რომაა, ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. 1998 წლის ფინალში ამ გუნდებმა მხოლოდ ერთი გოლი რომ გაიტანეს, ერთი ამბავი ატყდა, არიქა, შვედები და ფინელები მსოფლიოს ჰოკეის ლუპავენო. 7 მაისის თამაშით სკანდინავიელებმა სავსებით გაიმართლეს თავი.

27-ე წუთზე ვილე პელტონენმა მეხუთე გოლი რომ შეაგდო, ყველამ ირწმუნა, რომ თამაშის ბედი გადაწყდა. ამის შემდეგ შვედებმა ძალიან სწრაფად გაიტანეს ორი შაიბა და, ეტყობა, ამან მისცათ ძალა. აბა, სად 1:5 და სად 3:5. ფინელები კი ამ გოლებმა ცოტა დააბნია. მასპინძლები საბოლოოდ მაშინ წაზდნენ, როცა პეტერ ფორსბერგმა (სხვათა შორის, აქამდე არცთუ გამოირჩეოდა) ფანტასტიკური გარღვევა განახორციელა, მთელი მოედანი გადაიარა, მეტოქეთა კარსაც შემოუარა და ანგარიში გაათანაბრა. მერე, როცა შვედები დაწინაურდნენ, სუომელებმა ოთხ წუთში ველარაფერი მოახერხეს.

### ჩეხეთი 3:0 რუსეთი *1:0 2:0 0:0*

**1:0 ჰლავიჩი (17), 2:0 ჰეიდუკი (30), 3:0 ჰლინკა (37)**

რუსთა თავკაც ვლადიმირ პლიუშჩევის ჩემპიონატისწინა დაპირება ტრაბახი გამოდგა. გუნდი, რომელსაც პირველობის პრეტენზია ჰქონდა, შვედების ნამუსიანობის წყალობით მოხვდა პლეი ოფში, მერე კი ველარაფერი გააწყო, ჩეხეთის ნაკრებს სერიოზული წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწია. მე-17 წუთზე რუსები რიცხვმრავლობაში უხეშად შეცდნენ, მილან ჰეიდუკი და იან ჰლავიჩი მეკარესთან პირისპირ გავიდნენ და ეს შანსი ოსტატურადაც გამოიყენეს. ამის შემდეგ ისედაც ინდივიდუალურად მოთამაშე რუსები მთლად აირივნენ და უმიზეზო ჯარიმებით კიდევ უფრო გაუიოლეს მეტოქეს საქმე. ჰეიდუკმა (ბრწყინვალე დარტყმით) და იაროსლავ ჰლინკამ (ლამაზი კომბინაციით) თავისიანთა უპირატესობა სამ შაიბამდე გაზარდეს და მერე ანგარიში მშვიდად შეინარჩუნეს. პლიუშჩევისთვის ეს კარგი გაკვეთილია. ის, რაც ახალგაზრდული პირველობების დონეზე წარმატების მომტანია, სერიოზულ ტურნირებში ძალიანაც არასაკმარისია.

### კანადა 3:2 გერმანია *1:0 1:0 0:2 1:0*

**1:0 სმიტი (4), 2:0 ბრირი (33), 2:1 კოპიტი (45), 2:2 კროიცერი (54), 3:2 ბრიუერი (61)**

ამ შეხვედრაში ინტრიგას არავინ ელოდა. პირველი ორი პერიოდი ფავორიტი კანადის კარნახით წარიმართა, მაგრამ გერმანელებმა გაიბრძოლეს და ლამის ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. 54-ე წუთზე კანადელთა ფორვარდი კაილ კოლდერი თავისსავე ზონაში დაეცა და ტომას კროიცერმა გაათანაბრა ანგარიში. დამატებით დრომდე ორივე ნაკრებს შეეძლო გატანა, ოვერტაიმში კი მაინც უფრო გაწაფულმა კანადელებმა იმარჯვეს. ერიკ ბრიუერის შორიდან დარტყმულს გერმანელთა მეკარე ვერ გაუმკლავდა, რადგან მეტოქის ფორვარდები აეფარნენ.

„ფინელებთან ფრის შემდეგ ვირწმუნეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის გამკლავება შეგვიძლია და, როგორც ნახეთ, კინალამ მოვიგეთ კიდეც. გერმანია ყოველ წელს უმატებს" — ასე შეაფასა გერმანელმა იან ბენდამ თავისი გუნდის თამაში.

### სლოვაკეთი 3:1 შვეიცარია *0:1 2:0 1:0*

**0:1 პლიუსი (15), 1:1 კაპუში (28), 2:1 შატანი (40), 3:1 შატანი (42)**

როცა გუნდს ასეთი კაპიტანი ჰყავს, რისი უნდა ეშინოდეს. მართალია, სლოვაკთა წინამძღოლი მიროსლავ შატანი თავისი პარტნიორების — ზიგმუნდ პალფისა და იოზეფ შტუმპელის ჩრდილში მოექცა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თავისი სიტყვა თქვა და გუნდს ორი გოლით გაამარჯვებინა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი პირველი გოლი იყო, რომელიც შატანმა მეორე პერიოდის ბოლო წამებზე გაიტანა. მანამდე ხომ ანგარიში 1:1 იყო.

„სლოვაკეთი სათამაშო სტილით საბჭოთა კავშირის გუნდს გაგონებს. კარგად ვიცოდი, რა ხერხისთვის უნდა მიგვემართა — მაქსიმალურად საიმედო დაცვა და საბრძოლო სულისკვეთება იყო საჭირო. სამწუხაროდ, ბოლოს ძალა გამოგველია" — ამ სიტყვებს შვეიცარიელთა თავკაც რალფ კრიუგერს ტრაბახად ნუ ჩაუთვლით, მას რუსებისთვის არაერთი თამაში მოუგია, მაგრამ...

ამრიგად, 9 მაისს ნახევარფინალში ითამაშებენ:

**ჩეხეთი — კანადა ❄ შვედეთი — სლოვაკეთი**

## NHL სტენლის თასი

მეორე წრე. ოთხ მოგებამდე

# 1:3 მინესოტა ისტორიას მჯაჯგურება

7 მაისი

### დასავლეთი

#### ვანკუვერი 3:3 მინესოტა



მინესოტელმა ანტი ლააქსონენმა ვანკუვერელებს მეკარე დენ კლუტიე ჯერ წააქცია, მერე გაუტანა

### მინესოტა 5:1 ვანკუვერი

*0:0 2:0 3:1*

**1:0 ბრიუნეტი (26), 2:0 სეკერაში (36), 3:0 ჰენდრიკსონი (47), 3:1 თოვანოვსკი (49), 4:1 ლააქსონენი (50), 5:1 ბრიუნეტი (51)**

სასწაულები გრძელდება. ზედიზედ ორი მოგების შემდეგ მინესოტამ სერიაში ანგარიში გაათანაბრა. თუ ბოლო, მეშვიდე მატჩში „ველურებმა" იმარჯვეს, ლიგის ისტორიაში ახალ სტრიქონს ჩაწერენ — აქამდე ვერავინ შეძლო საპლეიოფო სერია ორჯერ მოეგო მაშინ, როცა 1:3 აგებდა.

მით უფრო გასაკვირია, როგორ მოიგო მინესოტამ ეს ბოლო მატჩები. 7:2-ს ვანკუვერში „ველურებმა" 5:1 მიაყოლეს, არადა, დებიუტი კანადურ გუნდს ასეთ ფიასკოს არ უქადდა. სტუმრებს გაცილებით მწვავე მომენტები ჰქონდათ, მაგრამ მინესოტელთა მეკარე დუეინ როულსონი კლდესავით იდგა. მეორე პერიოდში კი ვანკუვერმა უდისციპლინო თამაშით გაიფუჭა საქმე. მინესოტელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი რიცხვმრავლობის ბრიგადების სიმარჯვე. პირველი ორი გოლი მასპინძლებმა სწორედ მეტობისას გაიტანეს. ამის მერე ვანკუვერი მათი შემჩერებელი აღარ იყო, მით უმეტეს, რომ დაღლა დაეტყო.



# სვანური საძმო ურტყამს...



პროფესიული რინგის სარეიტინგო ქსელში წინ წინ მიიბრძვიან ფილადელფიაში დაბინავებული ძმები, რამაზ და შალვა ფალიანები. მათი ამერიკელი მენეჯერი მაიკ მაიკლი ჩვენებური მოკრივეებისთვის მეტოქეს მეტოქეზე „შოულობს" და ძმებთან ისე აგზავნის, როგორც მათი წინსვლისთვის შეწირულ ზვარაკს. ფალიანებიც შემხვედრს შემხვედრზე ამარცხებენ და სახელს იხვეჭენ.

ამ დღეებში ფალიანებმა თითო მეტოქეც გაიარეს. რამაზ ფალიანი 7 მაისს ლას ვეგასში ეკრივა მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილ პრეტენდენტს, მექსიკელ ჯენარო მელატოს და ორ რაუნდში მოუთავა საქმე. რამაზის მუშტმა პირველივე რაუნდში მექსიკელი ორჯერ განართხო რინგზე, მეორე რაუნდშიც დაანარცხა და ეს უკვე ნოკაუტი გამოდგა, მელატომ ველარ შეძლო ბრძოლის გაგრძელება.

მორიგი გამარჯვება ჩაიწერა რამაზის უმცროსმა ძმამ შალვამ — ის 3 მაისს კრივობდა და არა ლას ვეგასში, არამედ ფილადელფიაში. შალვასაც კამოცდილი მეტოქე ჰყავდა — ამერიკელი ჯონ კიზლი, რომელსაც მანამდე პროფესიულ რინგზე კრივობაში 13 გამარჯვება ლაგროვებოდა. შალვამ ეს ჯეელი პირველივე რაუნდში დაანოკაუტა.





ბრიტანულ-გერმანულ „უილიამსში" არეულობაა

# შუმი + F2003GA

## ერთი ნახვით შეყვარება

**საფორმულო** ჩემპიონატის ეტაპებს შორის ორკვირიანი შუალედი გუნდებისთვის დასვენების პერიოდი სულაც არაა. ტექპერსონალიც და პილოტებიც ყოველდღიურ ფუსფუსში არიან, რათა ბოლიდები რაც შეიძლება უკეთ მოამზადონ მომდევნო ტრასის თავისებურებათა გათვალისწინებით.

იტალიასა და საფრანგეთში გუშინ მორიგი სატესტო სერიები დასრულდა. ბარსელონაში რბოლის შემდეგ რუბენს ბარიკელომ მხოლოდ ერთი დღე დაისვენა და ფიორანოში, „ფერარის" საკუთარ ტრეკზე აჯირითა ის ახალთახალი „F2003GA", რომლითაც ესპანეთში მან მესამე ადგილი, მიხაელ შუმახერმა კი გამარჯვება მოიპოვა. რუბინიომ ორ დღეში 225-ჯერ შემოუქროლა სამკილომეტრიან წრეს, მანქანის საიმედოობაც შეამოწმა და „ბრიჯსტოუნის" ახალი საბურავებიც გამოსცადა, შემდეგ კი საქმეს შუმი შეუდგა.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი სიახლით აღფრთოვანებას ვერ ფარავს: „წლევანდელი ბოლიდი ფანტასტიკურია, ნახვისთანავე შემიყვარდა ეს საოცრება. მის საჭესთან განსაკუთრებულ სიამაყეს ვგრძნობ საკუთარი თავისა და მთელი გუნდის მიმართ". აღსანიშნავია, რომ მიხაელს მსგავსი ემოციები შარშანაც მოეძალა "F2002"-ით პირველი განავარდების მერე, ხოლო ის სეზონი როგორ ჩაამთავრა, „სამეფო რბოლების" მოყვარულთ მშვენივრად ემახსოვრებათ — 14 ეტაპიდან ცხრა მოიგო, ხუთჯერ კი პოდიუმის მეორე საფეხურზე იდგა.

„სკუდერიის" ტესტმძღოლი ფელიპე მასა ფორმულის მექაში — მილანის მახლობლად მონცაში დაქროდა შარშანდელი „F2002"-ით. მისი მიზანი საბურავების მდგრადობის შემოწმება იყო ისეთივე ზესწრაფ ტრასაზე, როგორიცაა ავსტრიული „A1-რინგი", სადაც ერთ კვირაში მოუწევთ რბოლა.

საფრანგეთში, „პოლ რიკარზე" ერთდროულად შვიდი გუნდი საქმიანობდა. დევიდ კულჰარდი და „მაკლარენის" სათადარიგო მრბოლი ალექსანდრ ვურცი ისევ შარშანდელ ბოლიდს ლააჭენებდნენ, რევოლუციურ „MP4/18"-ს კი ავსტრიის დიდი პრიზის შემდეგ ლააჭაშნიკებენ. „მაკების" ხელმძღვანელობა ძველის შეცვლას ძალიანაც არ ჩქარობს — მობერებული მოდელითაც ხომ სატურნირო ცხრილის თავში დგანან.

სერიოზული კონფლიქტია „BMW-უილიამსში": ბავარიელი მეძრავეები და შასის ბრიტანელი მწარმოებლები ერთმანეთს ადანაშაულებენ კონკურენტუუნარობაში. სერ ფრენკ უილიამსის გუნდი წლეულს მეტად უხეიროდ ასპარეზობს — ერთადერთი პოდიუმი და კონსტრუქტორთა თასზე მხოლოდ მეოთხე პოზიცია შარშანდელი ვიცე-ჩემპიონისთვის მართლაც სამარცხვინო შედეგია. „BMW მოტორსპორტის" გამდგარი დირექტორი გერჰარდ ბერგერი განვლილ ხუთ რბოლაში ჩავლავების მიზეზად ძრავას კი არა, ბოლიდის კონსტრუქციის დაუხვეწაობას თვლის. თავის მხრივ, ინგლისელი მეშასეები მოტორის სისუსტეზე წუწუნებენ.

კრიზისული ვითარება შესაძლოა 18 მაისს ავსტრიაში მოგვარდეს, რადგან უმარტივესი პროფილის „A1-რინგზე" გამარჯვების უმთავრესი ფაქტორი სწორედ ძრავის სიმძლავრეა. სადღეისოდ კი ფორმულაში ყველაზე ჯანიანი, თითქმის 900-ცხენისძალიანი „გულები" „უილიამსს" და „ფერარის" უდგათ.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალი ლას ვეგასში

კრივის ლეგენდა, მუჰამედ ალი თავის ცოლთან, ლონისთან ერთად ჩასულა ლას ვეგასს, სადაც რესტორან „პოსტრიოში“ საქველმოქმედო სადილს დასწრებია. ალის თავს ადგას განთქმული საკრივო პრომოუტერი ბობ არუმი, თავად საქველო სადილს კი ჰქვია „ერთ ბობოქარ ღამით“ და ალცჰაიმერის დაავადებით შეპყრობილთათვისაა განკუთვნილი. თითოეული მაგიდის მომსახურება 15 ათასი დოლარი დაჯდა.

REUTERS ლას ვეგასიდან





# ოცდახუთ წლამდე

პოპ ვარსკვლავი ჯესიკა სიმპსონი ბოულის თამაშში ჩაბმულა. ამ შეჯიბრ-დროსტარებას „25 წლამდე 25 ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი“ ჰქვია და ბევრი ყმაწვილი მოსეირეც მიუზიდია ლოს ანჯელესში.

REUTERS



# დაბრუნება

რვა თვე ზღვად იყო ბრიტანელი ზღვაოსანი ემა რიჩარდსი (მარცხნივ) და ორიოდ დღის წინ დაასრულა თავისი მარტოკაცთა გარსაქვეყნო ნაოსნობა როდ აილენდზე, ამერიკაში. 28 წლის ემა მეოთხე გამოდგა დიდ გარსაქვეყნო შეჯიბრში და ახლა ყველაზე ახალგაზრდა ქალია დედამიწაზე, 29 ათასი მილი მარტოს რომ უცურავს დედამიწის გარშემო (60-ფუტიან იახტა „პინდარით“). ჰოდა, ემა უკვე სამშობლოშია: ლონდონის „ჰითროუს“ აეროპორტში მას ასევე განთქმული ზღვაოსანი, ტრეისი ედვარდსი შეგებებია ქალიშვილ მაკენასთან ერთდა.

# სანამ ჯეისონი ოფლს ღვრის

ჯუმანა კიდი, „ნიუ ჯერსი ნეთსის“ ვარსკვლავ ჯეისონ კიდის ცოლი ჟურნალისტობას ითავსებს და სანამ ქმარი პლეი ოფში ოფლსა ღვრის „ბოსტონ სელტიქსის“ წინააღმდეგ, ერთ ტელევარსკვლავს ინტერვიუს ართმევს. ეს ვარსკვლავი კი გახლავთ ფედერიკო კასტელუჩი, გადაცემა „სოპრანოს“ წამყვანი.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგიაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან ლარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge